# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 19 დეკემბერი, 2009 წელი.

№ 256 (6356)




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბუნებრივი სიტყვაა, ცვლილებით და ჯერებით ბურთის გაცვანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.


ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.


## „ნაციონალური" ვანდალიზმი




## მყოლებათ ჩვენს პარდოსნებს თავიანთი თეოფოეპი? 2

ისე არ წავლენ, დასტოვონ ძეგლები მერაბისანი?!

## იოსებ ბესარიონის ძე სტალინის გენეალოგია 6-7

ეძღვნება ი. ბ. სტალინის დაბადების 130 წლისთავს



## „ხალხის მტრის" ჩანაწერები 3-4






## კახა კაციტაძე: ხელისუფლებას საგარეო პოლიტიკაში მომხდარი ცვლილებები გაცნობიერებული არა აქვს 5

## ღორის გრიპი ღორობასთან რა მოსატანია! 5



## რაო, ჩემო მიქელაო?

ანუ აწი რად გვინდა ბალი და სკვერი? 2

## ირინა სარიშვილი:



კონსტანტინე გამსახურდიამ ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების ყველა დეტალი 3



იგორ გიორგაძისგან პირადად იცის

◉ პროტესტი



# „ნაციონალური“ ვანდალიზმი

გუშინ კინოს სახლში, პოლიტიკური მოძრაობა „თეთრების“ ინიციატივით, საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა დიდი შეკრება გაიმართა. შეკრების მონაწილეებმა გააპროტესტეს ხელისუფლების მზაკვრული გადაწყვეტილება — 21 დეკემბერს ქუთაისში მერაბ ბერძენიშვილის „დიდების მემორიალის“ აფეთქების შესახებ.

— ანგრევენ და აფეთქებენ ძეგლებს, რომელთაც გახსნის დღესვე „ქართული ბიბლია“ და „ქართული ფილოსოფიური ტრაქტატი“ უწოდეს, — ასეთი იყო შეკრებილთა სულისკვეთება.

ბატონმა გიგა ლორთქიფანიძემ აღნიშნა, რომ რამდენიმე წელიწადია მიზანმიმართულად ანგრევენ კინოს, თეატრს... სხვა კულტურული ფასეულობები ალგავეს პირისაგან მიწისა, მრავალ ძეგლს გამოუყვანეს წირვა. და აი, ახლა მერაბ ბერძენიშვილის დიდებული ძეგლი უნდა დაანგრიონ: „ისეთი ვითარება შექმნეს, რომ თუ ვინმეს ან რაიმეს საშველად წახვედი, მოღალატედ გაცხადებენ. ჩვენ გვინდა ქართველი ხალხი და ქართული კულტურა გადავარჩინოთ“.



სიტყვით გამოვიდნენ „თეთრების“ ხელმძღვანელი თეიმურაზ შაშიაშვილი, ხელოვანები, საზოგადო მოღვაწეები რეზო ამაშუკელი, თემურ გოცაძე, დიმა ჯაიანი, ჯანსულ ჩარკვიანი, გოგი ქავთარაძე, რეზო ესაძე, მარიკა ლორთქიფანიძე, თემურ ნანეიშვილი, ნოდარ მგალობლიშვილი და სხვები, რომლებმაც საგანგებოდ მიმართეს საქართველოს მოსახლეობას ხმა აიმაღლონ „ნაციონალური“ ვანდალიზმის წინააღმდეგ. მათი აზრით, ეს ფაქტი სახალხო სასამართლომ უნდა შეაფასოს.

მურად ალაშვილი
ავტორის ფოტო.

◉ მართლაც, რა ხდება?!

# ეყოლებათ ჩვენს ვარდოსნებს თავიანთი თეოპომპი?

## ისე არ წავლენ, დასტოვონ ძეგლები მერაბისანი?!

**იაპონიაში თურმე ჩქაროსნული რკინიგზის გაყვანას აპირებდნენ, რომელსაც პროექტით ერთი იაპონელის ეზოზეც უნდა გაევლო. გაჯიქებულა ეს უკანასკნელი და არაფრის დიდებით არ დაუთმია მამაპაპეული სამკვიდრო. კერძო საკუთრებისა და ადამიანის უფლებათა უპირობოდ პატივმცემელ იაპონელ ხელისუფალთ (უმორჩილესად გთხოვთ, ამას პოლიტიკური მიზნებითა თუ „რომელიმე“ ხელისუფლების ქმედებასთან ანალოგიისთვის ნურვინ გამოიყენებთ! — რ. რ.) სხვა არაფერი დარჩენოდათ იმის გარდა, რომ იმ ადგილისთვის გვერდი აევლოთ, რკინიგზის ხაზი მოერკალათ, და არა ძალით გაეგდოთ ის ახირებული მოსახლე თავისი ეზოდან, როგორც ამას სხვა ხელისუფლება იზამდა (განმეორებით გთხოვთ, ანალოგიისგან აქაც თავი შეიკავოთ! — რ. რ.)...**

ჩვენი ხელისუფლების ახირებით, ქუთაისში პარლამენტის მეორე შენობა უნდა აშენდეს, რომელიც რა ხეირს მოგვიტანს და რისთვის არის საჭირო, მის გარდა, ალბათ, არც არავინ იცის (არადა, რაც მის მშენებლობას, შემდგომ — მოვლა-პატრონობასა თუ პარლამენტართა წასვლა-წამოსვლას და სხვა რამეებს ფული დასჭირდება, იმ თანხით ქუთაისი მყარად დადგებოდა ფეხზე!ძ.

და აქ აღიმართა „მშენებელთა“ გზაზე ჩვენებური „იაპონელი“ — მართლაც დიდებული, საამაყო ხუროთმოძღვრის, შესანიშნავი მოქალაქისა და მამულიშვილის მერაბ ბერძენიშვილის მრავალთაგან ერთ-ერთი საუკეთესო ქმნილება — „გამარჯვების მემორიალი“ (ისე კი, ვერაფრით გამიგია, მაინც რა საჭირო იყო მისი დანგრევა! იქ რა, ფართობის პრობლემაა? ვფიქრობ, მიზეზი სულ სხვაა, თუნდაც თანამდებობის ავტორიტეტის წინაშე ამ ბუმბერაზი შემოქმედის ქედმოუხრელობა! — **რ. რ.**ძ.

...ცხოვრობდა ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე ერთი ბერძენი — ჰეროსტრატე, კაცი პატივმოყვარე და ერთობ ამბიციური. ოდენ დღევანდელობას კი არა, გონმიუწვდომელ მომავალსაც ჩაუმქრალ ვარსკვლავად უნდა შემოვრჩეო, — ჩაებეჭდა თურმე გონებაში.

და რაკი სხვა ვერაფრით მიიპყრო ყურადღება, მსოფლიოს შვიდი საოცრებიდან ერთ-ერთად მონათლული არტემიდის ტაძრის დაწვა განიზრახა — ასე ნამდვილად დავრჩები ისტორიაშიო.




მკითხველთან ბოდიშს ვიხდი ამ საყოველთაოდ ცნობილი ამბის გახსენებისთვის, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი მიზნით გავაკეთე: ბევრმა შეიძლება არ იცოდეს იმ პიროვნების ვინაობა, ვისი მეშვეობითაც გახდა ჰეროსტრატე კაცობრიობისთვის „ცნობილი“.

ჰეროსტრატეს ამ გაუგონარი ვანდალიზმით აღშფოთებულ იონიის ქალაქების მცხოვრებთა გადაწყვეტილებით, მისი სახელი სამუდამო დავიწყებას უნდა მისცემოდა, მაგრამ ბერძენი ისტორიკოსის თეოპომპის წყალობით, რომელიც ჩვენს წელთაღრიცხვამდე მეოთხე საუკუნეში ცხოვრობდა და ჰეროსტრატეც ახსენა, ეს უკანასკნელი, თავის თანამედროვეთა სურვილის საწინააღმდეგოდ, დავიწყებას გადაურჩა.

**ამიტომაც მაინტერესებს და ვკითხულობ: ეყოლებათ ჩვენს ვარდოსნებს თავიანთი თეოპომპი?**

**და ერთი ძალაუნებური ანალოგიც: ჰეროსტრატემ არტემიდის ტაძარი ალექსანდრე მაკედონელის დაბადების დღეს, ღამით დაწვა.**

„გამარჯვების მემორიალის“ ერთობ მკვიდრად ნაგები კარკასის აფეთქებას კი თურმე მიხეილ სააკაშვილის დაბადების დღეს აპირებენ ჩვენი თანამედროვე ჰეროსტრატეები.

**საინტერესოა, ისინიც ღამით იქმენ ამას თუ დღისით?**

რუსლან რუსია

**P. S. გუშინწინ უცნობმა მკითხველმა დაგვირეკა და გვითხრა, ბატონი მერაბ ბერძენიშვილის ძეგლთა გადატანა-ნგრევის აზარტმა და მუზამ ისე აიტაცა ეს ჩვენი თანამედროვე ჰეროსტრატები, შესაძლოა, ახლა „გიორგი სააკაძეს“ და „მუზასაც“ მიადგნენო. ის კი არა, იქნებ არც ალგეთელი ლეკვები დასტოვონ „უყურადღებოდო“. თან გადაკეთებული ხალხური ლექსის ჩაწერაც გვთხოვა:**

უკვე დაზრდილან კიდევაც
ლეკვები ძაღლებისანი,
ისე არ წავლენ, დასტოვონ
ძეგლები მერაბისანი!

**ნებისმიერ ქვეყანაში მერაბ ბერძენიშვილის დარ ხელოვანს უთუოდ ხელის გულზე ატარებდნენ, ჩვენთან კი რა ხდებაო! — ცხარობდა მკითხველი.**

**მართლაც, რა ხდება?**

რ. რ.

◉ პოლიტწკიპურტი

# რაო, ჩემო მიქელაო?

## ანუ აწი რად გვინდა ბალი და სკვერი?

***— წაიღე შენი დაგლეჯილი ჩოხა! — ხომ გახსოვთ, როგორ რიგრიგობით უყრიდა ეზოებში ნათხოვარ ჩოხას, ახალუხს თუ ფაფახს მათს პატრონებს ნაქეიფარი მიქელა „დაკარგულ სამოთხეში“.***

***ან კი აწი რაში სჭირდებოდა ისინი! ქორწილში რომ წელგამართულად წასულიყო, იმისთვის უნდოდა, თორემ აწი? ნაქეიფარზე? აწი ერთი მაგათი პატრონისაც...***

თბილისის საკრებულოს წლევანდელი 11 სექტემბრის გადაწყვეტილებით, დედაქალაქის 47 ბაღსა და პარკს რეკრეაციული ზონის სტატუსი მოეხსნა. დადარაჯებულებსაც ეს უნდოდათ და...

მხოლოდ ერთი მაგალითი:

**ალმაშენებლის ხეივანში, მუხათგვერდის გადასახვევის მიმდებარე ტერიტორიაზე, თითქმის მაშინვე, 17 სექტემბერს, დაიწყეს 50-60 წლის წინათ დარგული ნაძვის ხეების ჩეხვა.**

არაფერმა არ გაჭრა — არც მოსახლეობის ხვეწნამ თუ პროტესტმა, არც გარემოს დაცვის ინსპექციის ჩარევამ თუ ქალაქის მერიისთვის მიმართვამ...

და უნებლიეთ, ამ შვიდი წლის წინათ ნანახი ტელეკადრები გამახსენდა: ახლა რომ ასეთი, რბილად თუ ვიტყვით, უგუნურ-მოუფიქრებელი გადაწყვეტილება მიიღო, იმ საკრებულოს მაშინდელი თავმჯდომარე, **ოპოზიციონერი მიხეილ სააკაშვილი როგორ მატროსოვივით გადაეფარა დიღმის ტყეპარკს** — აქ ხეებს ცოცხალი თავით არავის მოვაჭრევინებ, ეს დიღმელთა საუკეთესო და ერთადერთი დასვენების ადგილია, ხელები შორს აქაურობისგანო!

რასაც მაშინ ლოცავდა მას მადლიერი ხალხი!

**ახლა რა ხდება? დღეს არ გვჭირდება, მიხეილ ბატონო, თბილისში დასვენების ადგილები, რეკრეაციული ზონები?**

**თუ, მიქელასი არ იყოს, აწ უკვე „ნაქეიფარს“, ანუ პრეზიდენტის ჩოხამორგებულს, არ გჭირდებათ ბაღი თუ სკვერი, ჭირსაც წაუღია ისინიც და მათში დასვენების მოსურნენიც?**

მართლა ასეა, ჩვენო მიხელაო, ოჰ, უკაცრავად, მიქელაო? უფრო სწორად, ბატონო მიხეილ?

თუ ასე არ არის, გააუქმებინეთ საკრებულოს ეს უგუნურ-მოუფიქრებელი გადაწყვეტილება!

**მერე რა, რომ დღეს უკვე პრეზიდენტს, არაფრად გჭირდებათ ოპოზიციონერობისას ნათამაშევი როლის გამეორება?**

რაო? ერთი მულტფილმის გმირი ლომისა არ იყოს, საკუთარ შვილს თავად ხომ არ მოსჭრით თავს? იმ ხეებსაც იმიტომ აჭრევინებთ, რომ, საჭიროებისას, თქვენს რისხვას გაქცეული კატა მათზე არ აძვრეს თავის გადასარჩენად?

**რაო, რაო? მართალი ბრძანდებით, ყველაფერი მართლაც ჩვენი ბრალია, მაგრამ რას ვიზამთ, ხდება ხოლმე, ჩვენზე არანაკლები კულტურისა თუ ისტორიის მქონე გერმანელი ერიც შეცდა ერთხელ ხელისუფლის არჩევისას!**

მით უფრო, რომ მუდამ უთუოდ დგება ხოლმე განკითხვის, ანუ, ამ შემთხვევაში, ხეების მჭრელთა თანამდებობრივი თავების ჭრის დრო!

რომან რუსიძე

***P. S. ისე რა „კარგად“ გაგიგიათ კათოლიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევა — 12 მოციქულის სახელზე თითოეულმა 12 ძირი ხე დარგეთო! იჩქარეთ ნაცებო და მათო მხარდამჭერებო თუ მათგან წაქეზებულ-ზურგგამაგრებულნო, 12 ხეს თუ არ დარგავთ, სხვათა დარგული 12 ხე მაინც მოჭერით თითოეულმა!***

რ. რ.

ევრაზიის მედიაფორუმი

# დიდი მცირედთაგან იკრიბება

## „ხალხის მტრის“ ჩანაწერები

განმარტებით უნდა დავიწყო, თორემ, როგორც ვატყობ, ბევრმა, უბრალოდ, საერთოდ არ იცის, სად ვიყავით, რატომ ვიყავით და ვისი მიპატიჟებით ვიყავით. ჩვენმა ზოგიერთმა ძალიან გულმოდგინე თანამოკალმემ, ხელისუფლებისთვის თავისი ერთგულქვეშევრდომობა და მსახურება რომ დაემტკიცებინა, ლამის კრემლში, პირდაპირ პრეზიდენტ მედვედევის პირადი სტუმრობა და იქ საქართველოსთვის ძირგამომთხრელი საქმიანობა, ანუ ხალხის მტრობა დაგვწამა.

9-10 დეკემბერს, რუსეთის საერთაშორისო საინფორმაციო სააგენტო „ნოვოსტის“ ინიციატივით, მოსკოვში გაიმართა ევროპისა და აზიის მედიის ფორუმი, რომელზეც შეიკრიბა პოსტსაბჭოთა სივრცის 15-ვე სახელმწიფოს: აზერბაიჯანის, სომხეთის, ბელორუსიის, უკრაინის, საქართველოს, ყაზახეთის, ყირგიზეთის, ტაჯიკეთის, თურქმენეთის, უზბეკეთის, ლატვიის, ლიტვის, ესტონეთის, მოლდავეთის და, რა თქმა უნდა, რუსეთის ჟურნალისტური ამქრის 150-მდე წარმომადგენელი – მასობრივი ინფორმაციის წამყვანი ბეჭდვითი და ელექტროსაშუალებების მთავარი რედაქტორები და ტოპმენეჯერები, დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები, საერთაშორისო ექსპერტები, რუსეთის სამინისტროებისა და უწყებათა ხელმძღვანელები. ამას გარდა, სტუმრის სტატუსით ესწრებოდნენ კოლეგები ჩინეთიდან, ბულგარეთიდან, აშშ-დან, ისრაელიდან, იტალიიდან...

ნიუანსი: ფორუმში არ მონაწილეობდნენ პოსტსაბჭოთა სივრცის „ახალი დამოუკიდებელი ქვეყნების“ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის წარმომადგენლები. სრულიად კანონიერად მივიჩნევთ, რომ ეს მასპინძლის – „ნოვოსტის“ ლამაზი რევერანსია ჩვენი დელეგაციის მიმართ.

ფორუმის მიზანი ერთობ საპატიო იყო – პოსტსაბჭოთა სივრცეში პოზიტიური ინფორმაციული პარტნიორობის პერსპექტიული მოდელის შემუშავება.

გეპატიჟებით ფორუმზე, დისკუსიებში თქვენი მონაწილეობა, თქვენი პოზიციის გაცნობა უთუოდ შეუწყობს ხელს ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოების დამაახლოებელი პროცესების განვითარებასო, მწერდნენ (გვწერდნენ) თავაზიანად.

ჩვენ, 12-მა ქართველმა ჟურნალისტმა, მოვილაპარაკეთ და შევჯერდით, რომ ფორუმში მონაწილეობა სასარგებლო იქნებოდა პროფესიული თვალსაზრისით, იმითაც, რომ შესაძლებლობა მოგვეცემოდა უცხოელი (პოსტსაბჭოელი) კოლეგებისთვის, რომლებიც უმეტეს შემთხვევაში რუსული მიკერძოებული მედიით იცნობენ ჩვენს დღევანდელობას, აგვისტოს ომის წინაპირობებს, მიმდინარეობასა და შედეგებს, გვეთქვა სიმართლე და საპასუხო თავაზიანობით ვაცნობეთ თანხმობა „ნოვოსტის“ სათავო ოფისს.

მოლოდინმა გაგვიმართლა: ფორუმი მართლაც საინტერესოდ წარიმართა.

მთავარი ის გახლდათ, რომ ჩვენს წინაშე მისალმებით წარსდგა რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი დიმიტრი მედვედევი. მან განაცხადა, რუსეთი ისწრაფვის ახლო საზღვარგარეთის ქვეყნებთან ურთიერთობა წარმართოს ურთიერთგაგების, კეთილმეზობლობის საფუძველზეო და ხაზი გაუსვა, რომ დაინტერესებულია პარტნიორობა დამყარდეს პოსტსაბჭოთა სახელმწიფოთა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს შორის.




ერთი სიტყვით, თქვა ის, რასაც ასეთ დროს ამბობენ ხოლმე სახელმწიფოთა ხელმძღვანელები – ზოგადად და „გულღიად“. მის გამოსვლაში ამ მისალმებას, ალბათ, სულ 5 წუთამდე დაეთმო, დანარჩენი 40 წუთი – კითხვებზე პასუხს. აქედან ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებო იყო „ქართული ნაწილი“, ამიტომ მასზე ვუამბობ მკითხველს.

მედიაჰოლდინგ „ჯორჯიან თაიმსის“ მფლობელმა და პრეზიდენტმა მალხაზ გულაშვილმა, როცა შეკითხვის დასმის უფლება მისცეს (შეკითხვები მკაცრად რეგლამენტირებული იყო – დელეგაციაზე მხოლოდ 1), მოახერხა და იმ „კანონიკურ“ ერთში მთელი ოთხი „ქვეშეკითხვა“ ჩატენა: პირდაპირი საჰაერო ფრენის აღდგენა, ზემო ლარსის სასაზღვრო პუნქტის გახსნა არა მარტო სომხეთის, არამედ საქართველოს მოქალაქეებისთვისაც, ქართული პროდუქციის რუსულ ბაზარზე დაბრუნება, სავიზო რეჟიმის გამარტივება...

პრეზიდენტმა მედვედევმა საკმაოდ ვრცლად უპასუხა ამ პირდაპირ დასმულ კითხვებს: საქართველოსთან დაძაბული ურთიერთობა გვაქვს, რაც რუსეთის ბრალი არაა, მაგრამ ახლა არ ჩავუღრმავდები იმ სამწუხარო მოვლენებს, რომლებიც შარშან აგვისტოში მოხდა. რა უნდა გავაკეთოთ მომავალში? მე მრავალგზის განვაცხადე, რომ არ ვაპირებს კონტაქტს საქართველოს ამჟამინდელ პრეზიდენტთან და ზოგიერთ სხვა ხელმძღვანელთან, ჩვენი გზები გაიყო და მოვლენების ჩვენეული შეფასებები დიამეტრიულად განსხვავდება. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ყველა სხვა სახის ურთიერთობები მომავლისთვის გადავდოთ. ჩვენს ხალხებს საუკუნოვანი მეგობრობა და საერთო ისტორია აკავშირებთ. ამიტომ უნდა შევინარჩუნოთ პოზიტივი ურთიერთობაში. ეს პირველი. მეორე, არ უნდა გავექცეთ ჩვეულებრივი ყოფითი საკითხების მოგვარებას. პრობლემები, რომლებიც თქვენ ახსენეთ – პირდაპირი ავიარეისების აღდგენა, ზემო ლარსის გამშვები პუნქტის გახსნა, სადღეისოდ განსახილველი და გადასაჭრელი სრულიად ნორმალური თემებია. მე აქ განსაკუთრებულ დაბრკოლებებს ვერ ვხედავ, რადგან, უპირველეს ყოვლისა, რიგითი მოქალაქეების ინტერესებს ეხება, რომლებიც უწინდელივით მეგობრობენ და ურთიერთობენ, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ქვეყნებს შორის ზოგიერთ საკითხში საერთაშორისო არენაზე მკვეთრი დაპირისპირებაა, – განაცხადა ბატონმა მედვედევმა.

შემდეგ მან რუსულ ბაზარზე ქართული პროდუქციის შესვლის შესაძლებლობასა და სავიზო რეჟიმის გამარტივების საკითხზე ილაპარაკა. საერთოდ არავითარი პრობლემა არ უნდა არსებობდეს – ლეგალურად შემოტანილი ქართული პროდუქცია ისევე უნდა მიიღებოდეს და იყიდებოდეს რუსულ ბაზარზე, როგორც ნებისმიერი სხვა წარმოების პროდუქტი. რაც შეეხება ვიზებს: ზოგიერთ პოსტსაბჭოთა ქვეყანასთან ასევე გვაქვს სავიზო რეჟიმი. ვიზები წარმოადგენს სახელმწიფოთა შორის ურთიერთობათა საერთო ტონის გამოხატულებას და ვერ შეგპირდებით, რომ უკვე ხვალ უვიზო რეჟიმზე გადავალთ, მით უმეტეს, დიპლომატიური ურთიერთობების არარსებობის პირობებში. თუმცა საქართველოსთან ვიზის საკითხს ყურადღება ნამდვილად სჭირდებაო, – ხაზი გაუსვა რუსეთის პრეზიდენტმა.

ქართველი ჟურნალისტის მიერ დასმულ საკითხებზე ბატონი დიმიტრი მედვედევის პასუხის აუდიოჩანაწერი ასე ვრცლად იმიტომ გაგაცანით, რომ რუსეთის პრეზიდენტს მოსაზრება „ქართულ საკითხზე“ ომის შემდეგ ასე ვრცლად და არსებითად სხვაგან არასდროს გამოუთქვამს.

ამიტომაც მივიწერთ ამას „პლუსად“ ფორუმის ქართველი მონაწილეები.

აქ იმაში არ არის საქმე, „გვჯერა თუ არა პრეზიდენტ მედვედევის გულწრფელობა, რომ ის თავის სიტყვებს შეასრულებს“, როგორც ბევრმა ნიშნის მოგებით გვკითხა თბილისში დაბრუნების შემდეგ. ის კაცი სუპერსახელმწიფოს ხელმძღვანელია, რაც თქვა, მსოფლიოს გასაგონად თქვა და თუ თავის სიტყვებს უკან წაიღებს, ეს მისი პრობლემა იქნება.

რატომ მხოლოდ „ყოფითი საკითხები“ წამოჭერით და არაფერი ჰკითხეთ დეოკუპაციის შესახებო? – ასეთი „ბრალდებაც“ წამოგვიყენეს, თითქოს ჟურნალისტები კი არა, პროტოკოლზე ჭიპმოჭრილი პოლიტიკოსები ვიყავით და გრიგოლ ვაშაძის გასაკეთებელი (და გაუკეთებელი) უნდა გაგვეკეთებინა, თანაც თუ ვკითხავდით, სულ წუთობრივად ჩამოგვითვლიდა, როდის გაიყვანდა ჯარებს სამაჩაბლოდან და აფხაზეთიდან და ხელმოწერილ გრაფიკს გამოგვატანდა საქართველოში ხელისუფლებისთვის მისართმევად.

არადა, კაცმა რომ თქვას, დეოკუპაციაზეც (არა ამ სიტყვით, მაგრამ მაინც) ითქვა. როდესაც მ. გულაშვილმა თავის შეკითხვების „პაკეტს“ პრეამბულად წაუმძღვარა, რუსეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობა მხოლოდ იმგვარად უნდა აეწყოს, რომ უპასუხებდეს ორივე ქვეყნის ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ინტერესებსო, სწორედ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა უნდა გაეგო გამგებს...

მაგრამ ამით არ დამთავრებულა ყველაფერი.

როგორც უკვე ვთქვი, თითო დელეგაციას მხოლოდ თითო შეკითხვის უფლება ჰქონდა. ამდენად ქართველებს „ლიმიტი“ ამოგვეწურა, მაგრამ თენგიზ პაჭკორიას გაჩერება არ იქნა, გინდა თუ არა, სიტყვა მომეცითო. იმდენი იძალავა, რომ პრეზიდენტმა ფორუმის წამყვანს ანიშნა, მიითხრასო.

თენგიზმა ორგანულად გადააწნა ერთმანეთს შეკითხვა, თხოვნა და... რჩევა: თქვენი პოლიტიკა საქართველოს მიმართ ისე უნდა შეცვალოთ, რომ ამ პოლიტიკაში მთავარი იყოს თაფლაკვერი და არა მათრახი. საქართველოს რუსეთის მხრიდან სჭირდება არა მხოლოდ სავიზო, საავიაციო და ჰუმანიტარული თაფლაკვერები, არამედ უფრო სერიოზულ – კონფლიქტების მოგვარების და საქართველოს გაერთიანების საკითხებშიც. თუ თქვენ პოლიტიკას ამ მიმართულებით შემოაბრუნებთ, ეს წაადგება საქართველოსაც და რუსეთსაცო.

იხ. 4 გვ.

განცხადება



# „კონსტანტინე გამსახურდიამ ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების ყველა დეტალი იგორ გიორგაძისგან პირადად იცის“



**პარტია „იმედის“ ლიდერის ირინა სარიშვილის მტკიცებით, დეპუტატმა კონსტანტინე გამსახურდიამ მისი მამის ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების ყველა დეტალი უშიშროების ყოფილი მინისტრ იგორ გიორგაძისგან პირადად იცის.**

„პირველთან“ საუბარში სარიშვილმა დაადასტურა, რომ „გიორგაძე გამსახურდიას გარდაცვალების შესახებ ყველაზე უკეთ ინფორმირებული ადამიანია“. „ვიცი, რომ კონსტანტინე გამსახურდიამ პირადად იცის იგორ გიორგაძისგან მამამისის გარდაცვალების ყველა დეტალი, ისევე, როგორც ის დადებითი როლი, რომელიც გიორგაძემ ზვიად გამსახურდიას სიკვდილამდე და სიკვდილის შემდეგ შეასრულა. მან თავის დროზე გამსახურდიაზე თავდასხმაზე თქვა უარი, მისი სიკვდილის შემდეგ კი ერთადერთი მინისტრი იყო, რომელმაც გამსახურდიას თვითმკვლელობის აქტს ხელი არ მოაწერა“, – განაცხადა სარიშვილმა. შეგახსენებთ, რომ საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების მიზეზების შემსწავლელი საპარლამენტო კომისიის თავმჯდომარის კონსტანტინე გამსახურდიას განცხადებით, შევარდნაძის ხელისუფლების ყოფილი მაღალჩინოსანი, რომელიც ზვიად გამსახურდიას მკვლელობას ამტკიცებს და აცხადებს, რომ მან იცის პრეზიდენტის მკვლელობის შემკვეთი, მკვლელის ვინაობა და ის, თუ რა თანხაა ამაში გადახდილი, იგორ გიორგაძეა.

## ევრაზიის მედიაფორუმი

(მესამე გვერდიდან)

ბატონმა მედვედევმა ნახევრად ხუმრობით უპასუხა: თქვენ შემეკითხეთ კიდეც, კითხვასაც უპასუხეთ და რჩევაც მომეცით. მიღებულია". მან, რა თქმა უნდა, მშვენივრად გაიგო შეკითხვის კონტექსტი.

გაიგეს ფორუმის სხვა მონაწილეებმაც. ჩვენთან მოვიდნენ კოლეგები ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებიდან, ქართველმა ჟურნალისტმა ჩვენი სათქმელიც თქვაო, ანუ მათრახისა და თაფლაკვერის პოლიტიკის შეცვლის საჭიროება ბევრი პოსტსაბჭოთა რესპუბლიკის მიმართაც ყოფილა აუცილებელი.

მანამდე კი ასეთი რამ მოხდა: მალხაზ გულაშვილმა „პრეზიდიუმში" ჯდომით ისარგებლა და

მოლდავეთში 200 ათასი პასპორტი ჩამოარიგაო; უკრაინისთვის უმჯობესია პრორუსული პრეზიდენტი, იანუკოვიჩი კარგი იქნებოდა, მაგრამ მას „არ უნდა", ტიმოშენკო კი დასავლეთისკენაც იყურება და ყველაფერზე წავა, ოღონდ უკრაინის დედოფალი, რკინის ლედი გახდესო; შეიძლება დნესტრისპირეთის აღიარებაც მოხდეს, როგორც აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთისო; თუ აფხაზები და ოსები მოისურვებენ ქართული დროშის ქვეშ ცხოვრებას, რუსეთი წინააღმდეგი არ იქნება, ოღონდ აფხაზები და ქართველები ვერასოდეს ვერ შერიგდებიან, ისევე როგორც ჩეჩნები და რუსებიო; სსრ კავშირის დაშლით ყველამ მოიგო, რუსეთის გარდა, ამიტომ ნურავის უკვირს, რომ

რი გრძანდებით, რად შეგყავთ ხალხი შეცდომაში, ყველაფრის მიუხედავად სად ნახეთ საქართველოში რუსოფობიაო და ორატორს ენა ჩააგდებინა.

პლენარულ სხდომებსა და პანელურ დისკუსიებზე საგულისხმო საუბრები გაიმართა ისეთ საკითხებზე, როგორიც არის: წარმოების ახალი საშუალებანი და ინფორმაციის გავრცელება; მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი და კულტურათაშორის თანამშრომლობის პრობლემები; ტოლერანტობა და პროფესიული ეთიკა, ინფორმაციული პირისპირდგომის ბუნება; მასმედია გლობალური კრიზისის პირობებში და სხვა.

ჩემთვის ძალზე საგულისხმო იყო ცნობილ იტალიელ ჟურნალისტსა და საზოგადო მოღვაწესთან, ევროპარლამენტის ყოფილ წევრთან ჯულიეტო კიეზასთან საუბარი (ამ საუბარს გაზეთის

# დიდი მცირედთაგან იკრიბება



პრეზიდენტს გადასცა რუსულ ენაზე ახლახან გამოცემული საკუთარი წიგნი „გზა სიმართლისკენ, მშვიდობიანი კავკასიისა და გაერთიანებული საქართველოსკენ". როდესაც გამოსვლა დაამთავრა და წასასვლელად შებრუნდა, ბატონმა მედვედევმა მაღლა ასწია წიგნი, „მალხაზ!" უთხრა მოკლედ და მიანიშნა, წავიკითხავო. ყოველ შემთხვევაში ეს ჟესტი სწორედ ასე უნდა „წაგვეკითხა."

ჰოდა, იმავე საღამოს ქართველ ჟურნალისტთა დელეგაციაში იშვა უწყინარი ანეკდოტი: მეორე დღეს შეხვედრისას პრემიერი პუტინი შეშფოთებით ეკითხება პრეზიდენტ მედვედევს: – რა იყო დიმა, თვალები ჩაგწითლებია, არ გეძინა? – რა დამაძინებდა, მთელი ღამე მალხაზ გულაშვილის წიგნს ვკითხულობდი!

ფორუმის დღეები ძალიან დატვირთული გახლდათ. თავისებურად საინტერესო იყო რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს წევრის, რუსეთის ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარის, სკანდალურად ცნობილი ვლადიმერ ჟირინოვსკის ვრცელი გამოსვლა. რუსეთსა და პოსტსაბჭოთა სივრცეში მიმდინარე მოვლენების მისეული ხედვა, როგორც ყოველთვის, გამოირჩეოდა საშიში გულახდილობითა და ცინიზმით. მისი სიტყვით, მაგალითად, მოლდავეთში კომუნისტებს იმიტომ უჭერენ მხარს, რომ ეს უღატაკესი ქვეყანააო; რუმინეთმა კარგად გამოიყენა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში რუსული პასპორტების დარიგების წარმატებული გამოცდილება და

რუსეთი ცდილობს დაკარგულის დაბრუნებასო და ა. შ.

იყო აშკარა ანტიქართული გამოსვლაც. უკრაინელმა ჟურნალისტმა, უკრაინის უმაღლესი რადას დეპუტატმა ინა ბოგოსლოვსკაიამ „შვებით" განაცხადა, ჩვენ კინაღამ გავყევით საქართველოს გზას, როცა რუსეთისგან მტრის ხატის შექმნა და დასავლეთისკენ ორიენტაცია გადავწყვიტეთ. მადლობა ღმერთს, ეს არ გამოვიდა, ნარინჯისფერმა რევოლუციამ არ გაამართლა, საქართველოს მსგავსად რუსთა სიძულვილის პოლიტიკას არ ავყევითო.

ინა ბოგოსლოვსკაია ის ქალბატონი გახლავთ, ვინც ამ ცოტა ხნის წინათ კიევში მიხეილ სააკაშვილის ყოფნისას მოწყობილ შუსტერის ტელეშოუში აგრესიულად გამოიჩინა თავი – ბატონი მიხეილ სააკაშვილი შავ დღეში ჩააგდო. მის შხამიან გამოსვლას უფრო შეურაცხმყოფელი ტონი და მიმართულება ჰქონდა, ვიდრე უბრალოდ – კრიტიკული.

დაუღალავმა თენგიზ პაჭკორიამ არც მაშინდელი აპატია და არც აწინდელი. მიკროფონით პირდაპირ უთხრა, პროვოკატო-

მომდევნო ნომერში შევთავაზებ მკითხველს).

ფორუმის ფარგლებს გარეთ შევხვდით საქართველოს ხალხთა ასამბლეის პრეზიდენტს გოჩა ძასოხოვს, რუსეთში ქართველთა კავშირის პრეზიდენტს მიხეილ ხუბუტიას, მოსკოვში მცხოვრებ ქართველებს. ამ საუბრების დროს ხაზგასმით ითქვა, რომ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარებით რუსეთმა ძალზე მძიმე მდგომარეობაში ჩაიყენა თავი, ეს აღიარება შეიძლება ძალზე მტკივნეულად შემოუბრუნდეს ჩრდილოეთ კავკასიაში, სადაც უკვე არის ერთობ რთული ვითარება. აქედან გამომდინარე, საქართველომ გაწონასწორებული და გონივრული პოლიტიკა უნდა აწარმოოს რუსეთთანაც და განმდგარ ავტონომიებთანაც.

დაბოლოს, მიმაჩნია, რომ ევრაზიის მედიაფორუმში ქართველი ჟურნალისტების მონაწილეობა მცირედი გარღვევა იყო ორი ქვეყნის საინფორმაციო ომში, სადაც ყოველთვის როდი ვიგებთ ხოლმე.

დიდი კი მცირედთაგან იკრიბება.

ნურავის დაავიწყდება ეს.

ალეკო ასლანიშვილი

## ვიდეოხიდი

*ემიგრანტთა საერთაშორისო დღეს (18 დეკემბერი) მიეძღვნა „რიანოვოსტიში" გამართული დისკუსია, რომელიც ვიდეო-ხიდის საშუალებით შედგა მოსკოვს-თბილის-კიშინიოვსა და კიევს შორის. მიგრაციასთან დაკავშირებული პრობლემები ის თემაა, რომელიც ერთნაირად აწუხებთ პოსტსაბჭოთა ქვეყნებს. თბილისიდან წარდგენილი იყვნენ დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის მრჩეველი გიორგი მერაბიშვილი, სახელმწიფო მინისტრის მთავარი სპეციალისტი ალექსანდრე ბიგვავა და სოციოლოგი თამარ ზურაბიშვილი. ასევე ექსპერტები და სოციოლოგები იყვნენ წარმოდგენილი დანარჩენი დედაქალაქებიდანაც.*

# პოსტსაბჭოთა ქვეყნების მიგრაციული პოლიტიკა

## მტკივნეული საერთაშორისო პრობლემა

აღმოჩნდა, რომ მიგრაციასთან დაკავშირებით ყველაზე დიდი პრობლემა რუსეთსა და უკრაინაშია. ამ მხრივ სტაბილურად გამოიყურება მოლდოვეთი და საქართველო, სამაგიეროდ მათ ემიგრანტებთან დაკავშირებული პრობლემები აქვთ.

მართალია, ალექსანდრე ბიგვავამ უარყო, რომ ფულადი გზავნილები ყველაზე მეტი საქართველოში რუსეთიდან ირიცხება, თუმცა თამარ ზურაბიშვილი ამბობს, რომ ეროვნული ბანკის ვებ-გვერდი სწორედ ამაზე მიუთითებს. ეს, ალბათ, სრულებით არაა გასაკვირი, ვინაიდან საქართველოდან ყველაზე მეტი რუსეთში წავიდა ჯერ კიდევ 1990-იან წლებში. ოფიციალური მონაცემებით რუსეთში დაახლოებით 300 ათასზე მეტია წასული საქართველოდან, თუმცა რეალურად, ალბათ, ნახევარი მილიონი მაინც ცხოვრობს.

გიორგი მერაბიშვილი შეეცადა მოკლედ განეხილა დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის მუშაობა და ინიციატივები, რომლებიც უფრო ჩვენი ქვეყნის გარეთ მცხოვრები ქართული დიასპორის პრობლემებს ემსახურება, ვიდრე ქვეყნის შიგნით მცხოვრები სხვადასხვა ეროვნების ემიგრანტებისას. მათი ფუნქცია სწორედ ესაა, მით უფრო, რომ საქართველოს ქვეყნის შიგნით ემიგრანტთა არმია ისედაც არ აწუხებს (თუ არ ჩავთვლით ჩინელებს, რომლებიც ამ მხრივ მთელ მსოფლიოს თავსატეხს უქმნიან).

საკმაოდ მწვავე და მრავლისმომცველი იყო პოლიტოლოგ მიხაილ დელიაგინის შენიშვნები, რომლებიც რუსეთის პრობლემებს შეეხო. მისი თქმით, რუსეთს საკმაოდ მრავალფეროვანი ემიგრანტები ჰყავს, რომელსაც არ აქვს ლეგალურად მცხოვრებ ადამიანებთან პრობლემა, არამედ არალეგალების არმიასთან უწევს ბრძოლა. ეს ადამიანები იაფ მუშახელად ითვლებიან, ამიტომ ადგილობრივებს უჭირთ სამუშაო ადგილების შოვნა. გლობალურმა ეკონომიკურმა კრიზისმა კი ეს ფონი კიდევ უფრო დაამძიმა.

მილიონზე მეტი ემიგრანტი ჰყოლია უკრაინას, რომელიც ამან ძალიან დააზარალა, თუმცა 5-7 მილიონი უკრაინელი ასევე ემიგრაციაშია წასული. უკრაინა არის სატრანზიტო ქვეყანა, ვინაიდან საზღვარი ღია აქვს პოსტსაბჭოთა მეზობელ სახელმწიფოებთან. აქ თავს იყრის ევროპაში წამსვლელთა ბევრი არალეგალი თუ ლეგალი ადამიანი.

სამწუხაროდ, არც ერთ პოსტსაბჭოთა ქვეყანას ემიგრანტთა ოფიციალური ციფრი არა აქვს. არც ის იციან, რამდენი სამუშაო ადგილი და რამდენი მუშახელია საჭირო. ყველაზე ცუდი ის არის, რომ არ არის ქვეყნებს შორის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები. რაც შესაძლებელს გახდიდა ემიგრანტებს შრომით საქმიანობად ჩათვლოდათ უცხოეთში ნამუშევარი სამსახური. ახლა კი არავინ იცის ადამიანს პენსიის მისაღებად გამოადგება თუ არა საზღვარგარეთ მუშაობის წლები.

**უმთავრესი პრობლემა ის არის, რომ ზოგადად გამეფებულია ემიგრანტოფობია, რომელიც რუსეთში რასიზმსა და ქსენოფობიაში გადადის, მსგავსი დამოკიდებულებაა ევროპაშიც, განსაკუთრებით ავსტრიაში. დისკუსიისას გამოიკვეთა, რომ ქსენოფობიის გაღვივებაში დიდი წვლილი მიუძღვით სწორედ პოლიტიკოსებს. მიგრაციული პოლიტიკა კი საერთოდ ყველა პოსტსაბჭოთა ქვეყნის პრობლემაა და არა მარტო მათი, არამედ ეს ძალიან მტკივნეული საერთაშორისო თემაა.**

ნია ფიფია



## ინფორმაცია

# ვის ეკუთვნოდა იარაღით დატვირთული თვითმფრინავი?

უმცირესობის ლიდერი გიორგი თარგამაძე ხელისუფლებას რეგისტრირებული ავიაკომპანიების საქმეების გადახედვას და რეგისტრაციის გამკაცრებას თხოვს. ამის შესახებ განცხადება გიორგი თარგამაძემ გუშინდელ სესიაზე გააკეთა. საკითხი რამდენიმე დღის წინათ ტაივანის ხელისუფლების მიერ საქართველოში რეგისტრირებული თვითმფრინავის დაკავების ფაქტს ეხება.

თვითმფრინავზე, რომელიც საქართველოშია რეგისტრირებული და რეალურად მისი მფლობელის გარკვევა ჯერ კიდევ ჭირს, აღმოჩენილი იქნა უკანონო იარაღი და როგორც თარგამაძე აღნიშნავს, „იარაღის უკანონო ვაჭრობაში საქართველო აღმოჩნდა ჩათრეული".

თარგამაძის თქმით, ამ ფაქტს რუსეთი იყენებს საქართველოს წინააღმდეგ ძალიან ცუდად.

– ახლა, როდესაც ჩვენ გვჭირდება საერთაშორისო საზოგადოების მაქსიმალური მხარდაჭერა, ყოველი ასეთი ფაქტი საქართველოს წინააღმდეგ იქნება გამოყენებული და ეს არც არის გასაკვირი. გასაკვირი არის ის, რომ როგორც აღმოჩნდა საქართველოში რეგისტრირებული ყოფილა 18 ავიაკომპანია, საიდანაც დიდი უმეტესობა საერთოდ უცნობია. ეს კი განაპირობა იმან, რომ ავიაკომპანიის რეგისტრაცია ძალზე გამარტივებულია, – აცხადებს თარგამაძე.

მისი თქმით, ხელისუფლებამ დაუშვა შეცდომა, როდესაც ცოტა ხნის წინათ კანონმდებლობიდან ამოიღეს მუხლი, რომელიც ავიაკომპანიების რეგისტრაციისათვის ერთ-ერთ აუცილებელ პირობად ითვალისწინებდა იმას, რომ კომპანიის 50 პროცენტის მფლობელი საქართველოს მოქალაქე უნდა ყოფილიყო.

თარგამაძე მიიჩნევს, რომ ამ საკითხისადმი ასეთი ლიბერალური მიდგომა ქვეყანას დიდ პრობლემებს შეუქმნის და ხელისუფლებას დაუყოვნებლივი რეაგირებისკენ მოუწოდებს.

ჯი-ეიჩ-ენი

შეფასება



***2009 წელს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკაში უმნიშვნელოვანეს მოვლენებზე, ხელისუფლება-ოპოზიციის დაპირისპირება-თანამშრომლობის შედეგებზე, 2009 წელს ხელისუფლებისა და ოპოზიციის მიერ დაშვებულ უმთავრეს შეცდომებზე და 2010 წლის სავარაუდო პერსპექტივებზე „ინტერპრესნიუსი" ფილოსოფოსს, პოლიტოლოგსა და სამხედრო ექსპერტს კახა კაციტაძეს ესაუბრა.***

# ხელისუფლებას საგარეო პოლიტიკაში მომხდარი ცვლილებები გაცნობიერებული არა აქვს

**— თქვენი აზრით, 2009 წელს საქართველოს საშინაო პოლიტიკაში რომელი მოვლენა იყო უმნიშვნელოვანესი და რატომ?**

— ცალსახად იმის თქმა, რომელი მოვლენა იყო უმნიშვნელოვანესი, ძნელია, მაგრამ საშინაო პოლიტიკაში ალბათ ყველაზე მნიშვნელოვანი ის აქციები იყო, რომელიც გაზაფხულზე გაიმართა. იმის მიუხედავად, რომ ამ აქციებს არ მოჰყოლია ის შედეგი, რასაც საზოგადოების დიდი ნაწილი ელოდა, წელს ხელისუფლებისადმი საზოგადოების განწყობა შეუქცევადად შეიცვალა. ხელისუფლება სირაქლემის პოზიციაში ყოფნას კი ცდილობს, მაგრამ უდავოა, რომ ის ამას რეალურად ვერ მოახერხებს.

**— რა შეიძლება ჩაითვალოს 2009 წელს საქართველოსათვის უმნიშვნელოვანეს მოვლენად საგარეო პოლიტიკაში და რა გავლენა იქონია მან საქართველოს საერთაშორისო მდგომარეობაზე?**

— ერთი ფაქტის გამოყოფა ამ შემთხვევაშიც ძალიან ძნელია. საერთაშორისო მოვლენებს შორის, რომელმაც საქართველოზე ყველაზე დიდი გავლენა მოახდინა, იყო ამერიკის მხრიდან რუსეთის მიმართ გადატვირთვის პოლიტიკის დაფიქსირება. მნიშვნელოვანი მომენტი იყო ნატო-რუსეთს შორის თანამშრომლობის ისევ ძველებურ ფორმატში აღდგენა, სამწუხაროდ, ეს პროცესები საქართველოს სასარგებლოდ არ წაადგა, პირიქით. ისეთი საგარეო-პოლიტიკური ფონი შეიქმნა, რომლიდან გამომდინარეც, ჩვენ თვისებრივად ახლებურად მოგვიწევს მოქმედება. თუმცა, სამწუხაროდ, ხელისუფლებას საგარეო პოლიტიკაში მომხდარი ცვლილებები გაცნობიერებული არა აქვს.

**— რას შეიძლება ნიშნავდეს ევროკავშირის გვერდის ავლით დასავლეთის წამყვანი ქვეყნების რუსეთთან დაახლოება? რამდენად რეალურია ნატო-რუსეთს შორის დაახლოების პერსპექტივა და როგორ აისახება იგი ერთი მხრივ დასავლეთის საქართველოსადმი და მეორე მხრივ, რუსეთის საქართველოსადმი დამოკიდებულებაზე?**

— უკვე 20 წელიწადია საქართველოს ისტებლიშმენტი და საზოგადოება ერთ არსებით შეცდომას უშვებს, ქართული საზოგადოება ძალიან ვულგარულად და პრიმიტიულად უდგება საქართველოს ადგილს საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემაში. ადგილი ჰქონდა ჩვენი გეოპოლიტიკური მდებარეობის ჰიპერტროფირებულ შეფასებას, ანუ იმას, რომ ჩვენ გვაქვს ისეთი გეოპოლიტიკური მდებარეობა, რომ მხოლოდ ამის გამო და არაფერი სხვის გამო, საქართველო მუდმივად იქნება ყურადღების ცენტრში, მუდმივად მოეფერებიან, მუდმივად დახუჭავენ თვალებს იმაზე, რომ დასავლური დემოკრატიული სტანდარტებიდან შორს ვდგავართ და კიდევ უფრო ვშორდებით.

ხელისუფლებას და საზოგადოების საკმაო ნაწილსაც გქონდა იმედი, რომ დასავლეთი ჩვენს არადემოკრატიულობაზე თვალს დახუჭავდა და მხოლოდ გეოპოლიტიკური მდებარეობის გამო მივიღებდნენ ნატოში და ასე შემდეგ. ეს უნდა გაიაზროს საზოგადოებამ, თორემ ხელისუფლება რომ რამეს გაიაზრებს, მე ამის იმედი უკვე არა მაქვს. საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემაში მთავარია მიმართებები, ანუ ფუნქციური დამოკიდებულებები და არა მაინცადამაინც გეოპოლიტიკური მდებარეობა. თუკი საქართველოს უნდოდა ყოფილიყო დასავლეთის ყურადღების ცენტრში, პრიორიტეტი უნდა მინიჭებოდა არა გეოპოლიტიკურ მდებარეობაზე გაუთავებელ აქცენტირებას, არამედ დასავლური, დემოკრატიული საზოგადოების აღმშენებლობას. ამიტომ, რაც ხდება, აღარ უნდა გვწყინდეს.

**— ზოგიერთი დასავლური გამოცემის შეფასებით, პუტინმა დასავლეთს პოსტსაბჭოთა სივცეზე გავლენისათვის ბრძოლა მოუგო. რამდენად შეესაბამება ამგვარი შეფასება რეალობას და თქვენი აზრით, სავარაუდოდ როგორ შეიძლება დასრულდეს პოსტსაბჭოთა სივრცეზე გავლენისათვის ბრძოლა დასავალეთსა და რუსეთს შორის?**

— იმის განცხადება, რომ პუტინმა ვინმეს ბრძოლა მოუგო, ცოტა სასაცილოა. სახელმწიფო, რომელსაც ტერაქტებიდან და ხანძრებიდან ერთ კვირაში 150 მოქალაქე ელუპება, იმ სახელმწიფომ სერიოზულად რომ ამტკიცოს, რომ გავლენის სფეროებს აღადგენს, არასერიოზულია. არსებობს ელემენტარული სტატისტიკა, რომელიც ადასტურებს, რომ რუსეთი არ არის მომავლის სახელმწიფო.

ახლახან გამოქვეყნდა ცნობა იმის შესახებ, რომ მიმდინარე წელს რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა 29 ათასი დანაშაული ჩაიდინეს. ქვეყანაში, რომლის სამართალდამცავები ამდენ დანაშაულს ჩადიან, რა გავლენის გავრცელებაზე შეიძლება საუბარი. რუსეთი დეგრადირებადი, რეგრესირებადი, ქრობადი სახელმწიფოა და პოსტსაბჭოთა სივრცეზე მის გავლენაზე საუბარი გადაჭარბებულია. რაც მეტი დრო გავა, რუსეთი ამ სივრცეზე უფრო მეტად დაკარგავს გავლენას, ამიტომ გავლენის აღდგენაზე საუბარი ცოტა სასაცილოდ მეჩვენება. თუ ჩვენს რუსეთუმეებს ჰგონიათ, რომ პოლიტიკურ კარიერას რუსეთზე დაყრდნობით გაიკეთებს, ეს დაახლოებით იმასა ჰგავს, მე-18 საუკუნის ბოლოს, საქართველოში ვინმეს რომ ნდომოდა პოლიტიკური კარიერის გაკეთება და ფსონი აღა-მაჰმად-ხანის ირანზე დაედო.

**— დასავლეთი მოსკოვს 2008 წლის 12 აგვისტოს შეთანხმების შეუსრულებლობას კი საყვედურობს, მაგრამ ევროკავშირისა და ევროკავშირის ცალკეული ქვეყნების რუსეთთან თანამშრომლობა აქტიურ ფაზაში შედის. ამ ფონზე, რამდენად შეიძლება გვქონდეს 12 აგვისტოს შეთანხმების შესრულების იმედი?**

— პრობლემა ის არის, რომ შეთანხმების პუნქტი, რომელიც რუსეთს თავისი სამხედრო ძალის გაყვანას ავალდებულებს, არაერთმნიშვნელოვანია და რამდენიმე ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. კერძოდ, იმას ვგულისხმობ, რომ მკაფიოდ არ არის დაზუსტებული რუსული სამხედრო ძალის საიდან გაყვანაზეა საუბარი — სამეგრელოდან, გორისა და კასპის რაიონიდან თუ, აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან, ეს კი, 12 აგვისტოს შეთანხმებაში მკაფიოდ არ ჩანს.

ეტყობა, მაშინ, როცა ამ დოკუმენტს ხელი ეწერებოდა, ამ გარემოებას სიჩქარეში ყურადღება არავინ მიაქცია, არადა ეს მუხლი ორმაგი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა და ამას რუსები ჩვენთვის საზიანოდ, სათავისოდ კი კარგად იყენებენ. 12 აგვისტოს შეთანხმების შესრულებასთან დაკავშირებით მე, სამწუხაროდ, ოპტიმისტური დამოკიდებულება არა მაქვს. იმიტომ, რომ ეს არის ისეთი რიტირიკული დავა, რომელიც შეიძლება წლებს მანამდე გაგრძელდეს, სანამ პოლიტიკური კონიუნქტურა არსებითად არ შეიცვლება.

**— რა შეცდომა დაუშვა საქართველოს ხელისუფლებამ 2009 წელს საგარეო და საშინაო პოლიტიკაში?**

— ამ ხელისუფლებას, ისევე როგორც შევარდნაძის ხელისუფლებას, არავითარი უნარი, გრძელვადიანი სტრატეგიული დაგეგმვისა, როგორც საგარეო, ისე საშინაო პოლიტიკის შემუშავებისა არა აქვს. მას შეუძლია მხოლოდ მოვლენებზე რეაგირება და აბსოლუტურად არავითარი უნარი არა აქვს მოვლენებს წინ გაუსწროს და პრევენციული პოლიტიკა გაატაროს. ვიმეორებ, ეს წინა ხელისუფლებასაც ეხება. ყველა შეცდომა სწორედ ერთიანი სტრატეგიის არარსებობას უკავშირდება, ამას კიდევ ბუნებრივად ემატება ხელისუფლების ყველა რგოლში გაბატონებული არაკომპეტენტურობა და ელემენტალური უმეცრება.

**— 2009 წლის გაზაფხული ოპოზიციის აქტიურობით გამოირჩეოდა. რა შეცდომა დაუშვა ოპოზიციამ ხელისუფლებასთან დაპირისპირებაში და რა შეცდომა დაუშვა ხელისუფლებამ ოპოზიციასთან ურთიერთობაში?**

— აქ, არსებითი იმდენად ხელისუფლება-ოპოზიციის დაპირისპირება არ არის, პრობლემა ის არის, რომ ხელისუფლება საზოგადოების აზრს საერთოდ არ ითვალისწინებს, ოპოზიციას კი საზოგადოების დაკვეთის შესრულების უნარი არა აქვს. ხოლო რაც შეეხება შეცდომას, ოპოზიციას იგივე მოსდის რაც ხელისუფლებას, რომელსაც სტრატეგიის დაგეგმვა და შემუშავება არ შეუძლია. ოპოზიცია და ხელისუფლება ერთნაირად თვლიან, რომ ყველაფერი თავისთავად მოხდება, ანუ ოპოზიცია თვლის, რომ ხელისუფლება თავისთავად გადადგება, ხოლო ხელისუფლება თვლის, რომ ოპოზიცია თავისთავად ჩამოიშლება.

**— თქვენი აზრით, სავარაუდოდ, როგორი იქნება 2010 წელი საქართველს საშინაო და საგარეო პოლიტიკაში?**

— არა მგონია, რომ საგარეო პოლიტიკაში არსებითი ცვლილებები მოხდეს, ყოველ შემთხვევაში წლის ბოლომდე მაინც. ვნახოთ, აშშ-ს შუალედური არჩევნები რა შედეგით დასრულდება, მაგრამ, არა მგონია, რომ ამანაც რაღაც ძალიან დიდი გავლენა მოახდინოს საგარეო პოლიტიკაზე.

რაც შეეხება საშინაო პოლიტიკას, აქ შეიძლება მოულოდნელი პროცესები მოხდეს. პროცესების არალოგიკურად და მოულოდნელად განვითარებას იმის გამო ვვარაუდობ, რომ ძალიან ალოგიკური სიტუაციაა შექმნილი და როგორც წესი, ალოგიკური სიტუაცია ალოგიკურად მანამდე განვითარდება, სანამ ალოგიკურობა პიკს არ მიაღწევს. ამიტომ, ველოდები პროცესების უცნაურად განვითარებას, მაგრამ ვითარების ალოგიკურობის გამო პროცესის პროგნოზირება ჭირს.

**კობა ბენდელიანი**

პოლიტიკური ვირუსომანია

# ღორის გრიპი ღორობასთან რა მოსატანია!

## ნაცმოელთა მცდელობით კომკავშირიც გვიბრუნდება?!

**ქვეყანას ღორის გრიპი უტევს. ხალხში პანიკაა. სასწრაფოს ვერ გამოიძახებ. ტელეფონი გამუდმებით დაკავებულია. დედები შვილებს სკოლებში არ უშვებენ, აფთიაქებიდან დოლბანდები გაქრა... ეპიდემიის ზღვარზე მყოფთ გვიახლოვდება ვეფხვის წელიწადი. ხარის წელიწადი მიდის, მიიპარება და ღორის გრიპის ამარა გვტოვებს.**

ამბობენ... რას აღარ ამბობენ — ჩვეულებრივ გრიპსაც ღორის სახელს არქმევენ ექიმები, ასეთია დავალებაო. სანაცვლოდ, დონორებს მოიზიდავენ, დოლარებსაც გადმოარიცხინებენ და მავანთ ტამიფლუსაც გაუსაღებენო... ისე, საინტერესოა, ნაცმოძრაობის მესვეურ ვარდოსნებს თუ აღმოაჩნდებათ H1N1... ღორს ვარდისა არ ეშინია, მაგრამ სასჯელაღსრულების ყოფილი შეფისა კი უნდა ეშინოდეს... როგორც განათლებას უტირეს ყოფა, ისეთივე ბედი მოელის მასაც. სულ რომ დაცარიელდეს სკოლები გრიპის შიშით, არა მგონია, შაშკინს რამე დააკლოს. ამიტომაც უბოძეს განათლების მინისტრის სავარძელი ამ გაგანია გრიპომანიაში... თუმცა, განათლებას რომ ისედაც უტევს უცხო და უჯიშო ვირუსი, ეს დიდი ხანია ყველამ იცის. პრიორიტეტი მასწავლებელი და მოსწავლე იქნებაო, — ისეთი ტონით გამოგვიცხადა ძვირფასმა მინისტრმა, თითქოს არქიმედეს დარი აღმოჩენისთვის მიეგნოს. განათლების მინისტრისთვის არსებითი სკოლა და მოსწავლე რომ უნდა იყოს, და არა კანალიზაცია ან მარკშეიდერობა, ეს ყველამ იცის. გაგვაკვირვა თურმე და ეგ არის. მერე ახალი სიბრძნე დაუმატა პირვანდელ ნათქვამს: მართალია, ჩვენ გაზი და ნავთობი არა გვაქვს, მაგრამ ადამიანური რესურსები თავზე საყრელიაო, — დაახლოებით ასეთი რამ შემოგვლაღადა. განათლების მინისტრს მოსწავლე და მასწავლებელი რესურსი რომ ჰგონია, უფრო მეტი მკრეხელობა რაღა უნდა იყოს? სიტყვა „რესურსი" უსულო და უეროვნებო ადამიანების დამკვიდრებულია. წუთით წარმოიდგინეთ, რა უნდა უშველოს რესურსმოყვარე მინისტრმა ჩვენს ისედაც გაუბედურებულ, რეფორმას შეწირულ განათლებას.

H1N1 კი ღორივით გვიტევს, მადლობა ღმერთს, საზოგადოებრივი მაუწყებელი ვირუსის აფიორაზე ალაპარაკდა და შეეცადა, ხალხისთვის თვალში ნაცრის შეყრა დაემუხრუჭებინა — აქაოდა, ზოგჯერ ტყუილადაც აცხადებენ პანდემიის შესახებ, მსგავსი რამ თითქმის მონაჭორ-მონაჩმახიაო. ჟურნალისტი სხვა ქვეყნის მაგალითებს იმოწმებდა, აბა, ჩვენს ვარდოსნებს პირდაპირ როგორ გაუბედავდა... შეფარვით, მაგრამ მაინც გვითხრა სათქმელი...

სამწუხაროა, რომ ამ ვირუსის შემოტევის ფონზე, თავად ნაცმოლებს გადასდებიათ ღორის გრიპის მსგავსი, ოდნავ სახელცვლილი ფორმის ბაცილა — თურმე სკოლის მოსწავლეებს დარევიან წნორში, ნაცმოძრაობაში ექაჩებიან, სანაცვლოდ კი რას აღარ ჰპირდებიან. გაოგნებული არიან ქიზიყელები, რას მოვესწარით ხალხო, კომკავშირი დაგვიბრუნდაო. H1N1-ზე საშიში ეს ბაცილა მგონია, სულს რომ უმახინჯებს მოზარდებს.

და კიდევ — სახელი თავად დაარქვი მკითხველო, იმ საშინელებას, რასაც ნაცმოელები 21 დეკემბერს ქუთაისში აპირებენ — მერაბ ბერძენიშვილის „დიდების მემორიალის" აფეთქებას! — მის ადგილას პარლამენტის მეორე შენობა უნდა ავაშენოთო. ღორის გრიპის შემოტევას და ყოველგვარ ფიზიკურ ტკივილს გაუძლებს კაცი, მაგრამ ჩვენი ეროვნული სიამაყის ფეხქვეშ გათელვას — ვერა. ქართული გენი ყველაზე მეტად ჩვენს მხატვრულ აზროვნებაშია გაცხადებული — ლექსში, მუსიკაში, მხატვრობაში, ხუროთმოძღვრებაში... ეს ნგრევა ოდენ ძეგლის მოსპობა კი არა, ჩვენი სულების განადგურებაა. არა მხოლოდ წარსულის, მომავლის ხელყოფაცაა.

გეშინოდეთ არა H1N1-ის, არამედ — გულგრილობის, უსულო და უეროვნებო სენის. არ ვიცი, რით ვანუგეშო ბატონი მერაბ ბერძენიშვილი, ყოველგვარი სიტყვა უძლურია ამ ვანდალობის წინაშე. მაგრამ ერთი რამ კი ვიცი — ესაა მაგალითი იმისა, როგორ შეიძლება სიცოცხლეში დიდ ხელოვანს გული განუგმირო... ღორის გრიპი ამასთან განა მოსატანია?

**ნატა ნიბლაძე**







წლები

# პოეტის ხმა




**ჩვენი დროის დიდ პოეტს მუხრან მაჭავარიანს მიაჩნია, რომ ნებისმიერი მგოსნის მთავარი ხიბლი მისი გამორჩეული ხმაა.**

პოეტური ხმაა მთავარი!, კი, ჩემო ბატონო, მაგრამ ამ ხმასთან ერთად პოეტური აზროვნება, სიტყვის მათრახივით მოქნევის უნარიც თუ ასე მადლიანად დაგაბერტყა მამაზეციერმა, მაშინ გამოდის, რომ ეს გამორჩეული, მხოლოდ მუხრანისეული ხმა სწორედ ამ ღვთიურ მადლს ეფუძნება.

ისიც ღვთიური ბედნიერებაა, რომ ძლიერი, გამორჩეული პოეტური ხმის პატრონი მუხრან მაჭავარიანი 80 წლის ბერმუხასავით დგას რუსთაველის სახელმწიფო აკადემიური თეატრის დიდ სცენაზე და თავისი ხავერდოვანი, ბუხუნა ხმით ისე სჭექს „შენ სისხლოო ჩემოს“, ლამის თვით ქართული ორატორული ხელოვნების, ანუ მხატვრული კითხვის დიდოსტატს გურამ საღარაძესაც კი შეშურდეს!..

ჭეშმარიტად, შეუფასებელია გარაქიანი ქართული სიტყვის ძალა. მუხრან მაჭავარიანი კი ის ქუდბედიანი შემოქმედია, რომლის ღრმად პატრიოტული ლექსი რამდენჯერაც არ უნდა მოისმინო არასოდეს მოგწყინდება.

საგანგებოდ მუხრანის საიუბილეოდ შეკრებილმა რუსთაველის თეატრის შემოქმედებითმა ჯგუფმა 17 დეკემბერს ერთსაათიანი სპექტაკლი წარმოადგინა... ეს იყო ტკივილით, რწმენით და იმედით სავსე სპექტაკლი ლექსის და ლექსით!

დიახ, ლექსის და ლექსით მოგვრილი იმედი, რწმენა და ტკივილი.

სპექტაკლის ბოლოს, როცა ბატონმა გურამ საღარაძემ კიდევ ერთხელ დააგუგუნა „იარონ, იარონ, იარონ, ამინ!“, თეატრის „ციდან“ პარტერში „პროკლამაციები“ გადმოცვივდა, რომლებშიც დიდი პოეტის ხელნაწერი გვახსენებდა:

**სიტყვებს, —**
**წინაპართ მიერ**
**გახედნილთ, —**
**დიდი რუსთველის უღელში**
**ნაბამთ**
**(შობილთ**
**კლარჯეთით,**
**ქართლით,**
**კახეთით, —**
**ერთად შეკრიბნა რომელნიც**
**საბამ), —**
**ვეალერსები, ვითარცა**
**ყვავილთ...**
**სიცოცხლეც მარტო იმიტომ**
**მინდა**
**რომ ჩემს საფლავზე**
**ყაყაჩოსავით**
**ყვაოდეს სიტყვა, ქართული**
**სიტყვა.**

რადგანაც თქვენს საფიცარ ერსაც ძალიან უნდა ქვეყნის მაჯისცემას მიყურადებული პოეტის სიცოცხლე, მოკლედ გეტყვით, ბატონო მუხრან: „იცოცხლეთ, იცოცხლეთ, იცოცხლეთ, ამინ!

აკი დაგვპირდით კიდეც, — ხუთი წლის შემდეგ ისევ შევხვდებითო! 85 წლისა რომ მოიყრებით, კიდევ ერთი ხუთი წელი დავთქვათ და ასე შემდეგ...

გულს ნუ გაიტეხთ, მუხა კვლავაც შეიმოსება!..

**სპარტაკ ქოზულია**

ინფორმაცია

## ბავშვებიც პატიმრებად იქცევიან?

**ქალი პატიმრები შვილებთან ერთად იცხოვრებენ. როგორც სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროდან იტყობინებიან, სასჯელაღსრულების ქალთა ახალ დაწესებულებაში სპეციალური განყოფილების აშენება იგეგმება, რაც დაწესებულების ხელმძღვანელობას საშუალებას მისცემს დედებსა და ბავშვებს ერთად ცხოვრების პირობები შეუქმნას.**

**შესაბამის საგრანტო ხელშეკრულებას სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის უფროსმა დავით ჭკადუამ და ნორვეგიის კანონის უზენაესობის მრჩეველთა მისიის ხელმძღვანელმა იონი სკოგსტადმა ხელი უკვე მოაწერეს.**

**ახალი დაწესებულების გახსნა 2010 წლის მარტისთვის იგეგმება.**

ჯი-ეიჩ-ენი

## განცხადება სააქციო საზოგადოება „მასპინძელის“ აქციონერთა რიგგარეშე კრების მოწვევის შესახებ

**2010 წლის 15 იანვარს 16 საათზე სს „მასპინძელის“ სამეთვალყურეო საბჭოს მიერ მოწვეულია სს „მასპინძელის“ აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრება იურიდიულ მისამართზე: თბილისი, თარხნიშვილის ქ. №1, შესახვ. №1.**

**დღის წესრიგი:**

1. სს „მასპინძელის“ 2008 წლის საფინანსო-სამეურნეო წლიური ანგარიში;
2. ქალბატონ თინა ბაიაშვილის განცხადების განხილვა;
3. სხვადასხვა.

**საერთო კრების სააღრიცხვო დღე 2009 წლის 15 დეკემბერი. აქციონერებს შეუძლიათ კრებაში მონაწილეობის უფლება შეამოწმონ გაერთიანებულ ქართულ რეგისტრატორთან მისამართზე: ჭავჭავაძის გამზირი №74ა.**

მედიცინა

***ინსულინის აღმოჩენამდე შაქრიანი დიაბეტის მკურნალობის ერთადერთი საშუალება ნახევრად მშიერი დიეტა იყო. დაავადების აღმოჩენიდან ადამიანები ცოტა ხანში იღუპებოდნენ, ან უკეთეს შემთხვევაში 5-7 წელი ცოცხლობდნენ მხოლოდ.***

***მაგრამ მედიცინამ ევოლუცია განიცადა და მე-20 საუკუნემ სრული ფურორი მოახდინა. მიმდინარე საუკუნე კი უამრავ სიახლეს და თანამედროვე ტექნიკური ნოვაციის დანერგვას გვპირდება. ამისთვის, ალბათ, ერთ-ერთი საუკეთესო გზა სამედიცინო ფორუმები, კონფერენციები და კონგრესებია, სადაც აზრის გაცვლა-გამოცვლა და პრეზენტაციები ხდება.***

***საქართველოს დიაბეტის ცენტრის ხელმძღვანელი პროფესორი რამაზ ყურაშვილი ამას წინათ ერთ-ერთ ასეთ საინტერესო რეგიონალურ სამედიცინო კონგრესზე იმყოფებოდა, რის შესახებაც ის ქვემოთ გვესაუბრება:***




# რა საერთო აქვს შექსპირს დიაბეტთან?

## ქართველი პროფესორის ტაილანდური შთაბეჭდილებები

— ტაილანდის დედაქალაქ ბანგკოკში ჩატარდა სამხრეთ აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების ენდოკრინოლოგიურ ასოციაციათა ფედერაციის კონგრესი. ეს ქვეყნებია ტაილანდი, ინდონეზია, მალაიზია და ფილიპინები, სულ ნახევარმილიარდიანი მოსახლეობით. მოწვეული იყვნენ დელეგატები ევროპიდან, ამერიკის შეერთებული შტატებიდან, ბრიტანეთიდან. 30 მეტი ქვეყანა იყო წარდგენილი. უნდა ითქვას, რომ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებიდან მხოლოდ საქართველოს დელეგაცია ესწრებოდა კონგრესს.

**—თქვენ რა პროგრამით ჩახვედით?**

— ჩვენ სამი პრეზენტაცია წარვადგინეთ. საერთოდ კონგრესზე მონაწილეობის დროს ყოველთვის ვცდილობ, რომ ადრე ჩავიდე, დავათვალიერო ქვეყნის ღირსშესანიშნაობანი, კონგრესს კი თავიდან ბოლომდე ვესწრები.

ერთი პრეზენტაცია იყო სახელმძღვანელოებთან დაკავშირებული, თუ რა ვთარგმნეთ და რა ნაშრომები გამოვეცით ამ ბოლო დროს. მეორე შეეხებოდა დეპრესიულ მდგომარეობას ისეთ ავადმყოფებში, რომელთაც აქვთ ტკივილის მქონე დიაბეტური გართულება, ანუ დიაბეტური ნევროპათია. მესამე იყო თანამედროვე ასპექტი-განათლება. ის, რომ დიაბეტისთვის განათლებას დიდი მნიშვნელობა აქვს.

**— უნდა ითქვას, რომ გასული წელი საკმაოდ წარმატებული აღმოჩნდა ქართული მედიცინისთვის. ჩატარდა უამრავი საერთაშორისო კონგრესი, სადაც ქართველმა ექიმებმა თავი გამოიჩინეს.**

— ექიმები მუშაობენ იმის მიუხედავად, რომ მათ განსაკუთრებულ პირობებს არავინ უქმნის. ჯანდაცვის სამინისტრომ ძალიანაც რომ მოინდომოს, წინაპრისგან დატოვებულ დანგრეული მედიცინის სისტემას ვერაფრით უშველის. ამ „დაქცევის“ მოდელისგან გამოსვლა რთულია.

შეიძლება კიდევ უფრო მეტი წარმატება გვქონოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ექიმთა განათლების საკითხი წინ ვერ მიდის. ბიუროკრატები შეხვედრებზე თვითონ კი არ უნდა წყვეტდნენ, ვაჰ, ჩვენ რა მაგრები ვართო, უნდა ჰკითხონ პაციენტებს, მოსწონთ მათ ექიმები თუ არა.

**— ტაილანდური შთაბეჭდილებებზე რას იტყვით?**

— ჩემთვის სასიამოვნო სიურპრიზი ის იყო, რომ საქართველოს შესახებ მათ ძალიან ბევრი ინფორმაცია ჰქონდათ და დამატებითი ცნობის მიცემა არ იყო საჭირო. მათ იცოდნენ, რომ მე წარმოვადგენდი უძველესი კულტურის ქვეყანას, მაგრამ ახალ სახელმწიფოს, რომელიც რაღაც ასპექტით, თავისი ისტორიებით თითქოს წააგავს ტაილანდს.

როცა ჩვენ თავი მოგვაქვს იმით, რომ ევროპელები ვართ, ამასთან ერთად ჩვენ აზიელებიც ვართ. დაავადების სტრუქტურის მიხედვითაც ჩვენთან ისევე არის განვითარებული ევროპული დაავადებების ტიპი, როგორც აზიურის. დიაბეტს თუ მივადგებით, საქართველოში არის ტიპი 1 (ევროპულიძ და ტიპი 2 (აზიურიძ. დაავადებების გენეტიკური ვარიანტითაც კი, რომელიც საზოგადოების განვითარების სარკეა, შეიძლება მივიჩნიოთ, რომ ჩვენ ისეთივე ევროპელები ვართ, როგორც აზიელები. ამ ნიუანსმა საკმაოდ დიდი გავლენა იქონია ჩვენი დელეგაციის და მასპინძლების ურთიერთობაზე.

**— თქვენს პრეზენტაციაზე ადგილი დაუთმეთ უილიამ შექსპირს. რა შუაშია პოეტი მედიცინასთან?**

— დიახ, ჩვენ დავსვით კითხვა — შეიძლება თუ არა შექსპირი ყოფილიყო განმანათლებელი დიაბეტთან დაკავშირებით და დამხმარე იმ პროცესში, რომელსაც ჰქვია პაციენტთა თერაპიული განათლება. დიახ, შექსპირი თავისუფლად გაართმევდა თავს. ის არ იყო ექიმი, თუმცა შეიძლებოდა ყოფილიყო კიდეც. მისი გმირების უმეტესობას ახასიათებს დიაბეტიანი პაციენტისთვის დამახასიათებელი თვისებები — დეპრესია, სტრესები, ჭამა-სმისადმი დამოკიდებულება, დიეტა, გენეტიკასთან დაკავშირებული თვისებები და ა.შ. ეს, როგორც დამატებითი მასალა, ძალიან კარგად გამოვიყენეთ. ამიტომაც შემოგთავაზეს, რომ ის საერთაშორისო სამედიცინო ჟურნალში სრული სახით გამოვაქვეყნოთ.

**— გამოდის, რომ ქართველთა დელეგაციამ გამორჩეულად დაამახსოვრა თავი კონგრესს.**

— გამორჩეული ის იყო, რომ აქტიური მონაწილეობა მივიღეთ დისკუსიებში, შეკითხვებს ვაძლევდით, მოსმენილიდან გამომდინარე. ყველამ კარგად იცოდა ჩემი სახელი და გვარი. ცოტა არ იყოს რეკლამა გამომდის, მაგრამ მართლაც დადებითად განეწყვნენ ჩემდამი. შემდეგ კონფერენციებზეც დაგვპატიჟეს.

**— ალბათ, ასეთ შანსებს ხელიდან არ გაუშვებთ?**

— ბუნებრივია, თანაც გადავწყვიტეთ, რომ იქ ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენლებიც ჩავიყვანოთ, ისინი, ვინც ჯანდაცვას კურირებენ. იქ საქართველოზე ძალიან ბევრი და კარგი ინფორმაცია აქვთ, თუმცა ჩვენ არავითარი დიპლომატიური ურთიერთობა არა გვაქვს. ვიზები იქ ჩასასვლელად ერევანში ავიღეთ.

ტაილანდი მზარდი ქვეყანაა. განვითარების ანგლო-საქსური სქემა აქვთ. მიდის დიდი მშენებლობები, განვითარებულია მსუბუქი მრეწველობა, კვების მრეწველობა, გემები ჰყავთ და ა.შ.

ჩვენ რა განზრახვაც გვაქვს, ეს არის მედიცინის სფეროს განვითარება. იქაური მედიცინის სფეროთი მართლაც რომ მოვიხიბლეთ. ძალიან კარგი კანონმდებლობა აქვთ. იქაც დიდია დიაბეტით დაავადებულთა რიცხვი. მაგრამ უამრავი კარგი პროგრამა აქვთ. ძალიან ბევრი გეგმა და პროექტი ჩამოვიტანეთ იქიდან, რომელთაც ჩვენი საქმიანობისას თანდათან გამოვიყენებთ და დავნერგავთ.

**— მაინც რა იყო კონკრეტულად ახალი, რაც იქიდან ჩამოიტანეთ, ან იქ იხილეთ, ვთქვათ ახალი პრეპარატი, დანადგარი თუ სხვა რამ?**

— იქ იყო სამედიცინო გამოფენა, სადაც ბევრი საინტერესო რამე ვნახე. მაგალითად, ხელსაწყოები, როგორ მოვუაროთ ავადმყოფს. იყო ახალი აპარატი, რომლებიც ევროპელებმა წარმოადგინეს. ეს აპარატი არასისხლიანი მეთოდით სვამს დიაბეტის წინაპერიოდის დიაგნოზს.

განსაკუთრებით ხაზი მინდა გავუსვა იმას, რომ ტაილანდში კარგად მუშაობს მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია, რომელმაც ეფექტიანად წაწია წინ რეგიონის მედიცინის დარგი. რაც, სამწუხაროდ, საქართველოში არ განხორციელდა. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციებიდან თანხები ჩამოწერეს, რომელიც ვითომ საქართველოზე დაიხარჯა, მაგრამ რეალურად არაფერიც არ დახარჯულა. ეტყობა, ტაილანდში ვერ ნახეს კორუფციული ბაზა ფულების ჩამოსაწერად და თანხები მართლაც ხალხს ხმარდება. ეს ეტყობა კიდეც მათ მედიცინას. სწორედ ამის გამოც ექნება ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენლების იქ ჩასვლას კარგი ეფექტი, რომ ნახონ, როგორი ხელშეწყობა სჭირდება მედიცინას.

ესაუბრა
**თეა მოსია**

◉ ქართული ჭიდაობა

# ადამ ოქრუაშვილი საქართველოს ფალავანია



**ოლიმპიური ჩემპიონის შოთა ჩოჩიშვილის სახელობის ძიუდოს აკადემიის დარბაზში ქართულად მოჭიდავეებისთვის წლის შემაჯამებელი შეჯიბრება — ფალავნობა გაიმართა. ტატამზე ქვეყნის 24 საუკეთესო სპორტსმენი გამოვიდა. ფინალამდე ღირსეულად განვლეს გზა საქართველოს რვაგზის ფალავანმა ალექსი დავითაშვილმა და ძიუდოსა და სუმოში ახალგაზრდებს შორის ევროპის მრავალგზის ჩემპიონმა ადამ ოქრუაშვილმა.**

დავითაშვილმა ფინალამდე ზედიზედ სძლია ონისე ბულაძეს, გიორგი ბოლოთაშვილს, თამაზ მუთოშვილსა და ლომერ ჟორჟოლიანს, ხოლო ოქრუაშვილმა ვაჟა დაბრუნდაშვილი, მირიან გონჯილაშვილი, ვალერი იმერლიშვილი და ზვიად ხანჯალიაშვილი დაამარცხა.

გადამწყვეტი ორთაბრძოლა დაძაბული გამოდგა. ძირითად დროში უპირატესობას ვერავინ მიაღწია. დამატებით სამწუთიან მონაკვეთში ადამ ოქრუაშვილმა წმინდა გდებით პირველად მოიპოვა საქართველოს ფალავნობა და 5000 ლარიც დაიმსახურა. დავითაშვილს 2000 ლარი ხვდა, ხოლო მესამე ადგილზე გასული ლომერ ჟორჟოლიანი 1000 ლარით დაკმაყოფილდა.

◉ კალათბურთი

# ოქმის ენით

**გაიმართა ევროლიგის ჯგუფური რაუნდის VIII ტურის მატჩები. გაუწყებთ მათ შედეგებს.**

**„ა“ ჯგუფი.** „ბარსელონა“ — „ჟალგირისი“ 89:55, „სიენა“ — „ვილერბანი“ 83:74, „ციბონა“ — „ულქერი“ 80:77.




„ბარსელონა“ — 8, „სიენა“ — 7, „ვილერბანი“, „ულქერი“ — 3-3, „ციბონა“ — 2, „ჟალგირისი“ — 1 მოგება.

**„ბ“ ჯგუფი.** „რიტასი“ — „ოლიმპიაკოსი“ 83:89 (დამატებით დროშიძ, „ორლეანი“ — „პარტიზანი“ 75:72, „ეფესი“ — „უნიკახა“ 77:79.

„ოლიმპიაკოსი“, „უნიკახა“ — 6-6, „რიტასი“, „პარტიზანი“ — 4-4, „ეფესი“ — 3, „ორლეანი“ — 1 მოგება.

**„გ“ ჯგუფი.** „ტაუგრესი“ — „ოლიმპია“ 62:53, „რომა“ — „მაროუსი“ 74:87, ცსკა — „მაკაბი“ 77:72.

ცსკა, „ტაუგრესი“ — 6-6, „მაკაბი“ — 5, „რომა“, „მაროუსი“ 3-3, „ოლიმპია“ — 1 მოგება.

**„დ“ ჯგუფი.** „პანათინაიკოსი“ — „რეალი“ 67:76, „მილანი“ — „პროკომი“ 82:69, „ოლდენბურგი“ — „ხიმკი“ 49:62.

„რეალი“, „პანათინაიკოსი“ — 6-6, „ხიმკი“ — 5, „მილანი“, „პროკომი“ — 3-3, „ოლდენბურგი“ — 1 მოგება.

**შემდეგი ტური:** „სიენა“ — „ულქერი“, „პარტიზანი“ — „რიტასი“, „ტაუგრესი“ — „მაროუსი“, „პანათინაიკოსი“ — „პროკომი“ (6 იანვარიძ, „ჟალგირისი“ — „ციბონა“, „ვილერბანი“ — „ბარსელონა“, „ეფესი“ — „ოლიმპიაკოსი“, „ორლეანი“ — „უნიკახა“, „მაკაბი“ — „რომა“, „ოლიმპია“ — ცსკა, „ხიმკი“ — „მილანი“, „რეალი“ — „ოლდენბურგი“ (7 იანვარიძ.

◉ ჩემპიონთა ლიგა

# წილი ნაყარია



**გუშინ შვეიცარიის ქალაქ ნიონში, უეფას შტაბ-ბინაში, მოეწყო ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალისტთა კენჭისყრა, რომელმაც მეტოქენი ასე დააწყვილა:**

**„შტუტგარტი“ — „ბარსელონა“,**
**„ოლიმპიაკოსი“ — „ბორდო“,**
**„ინტერი“ — „ჩელსი“,**
**„ბაიერნი“ — „ფიორენტინა“,**
**ცსკა — „სევილია“,**
**„ლიონი“ — „რეალი“,**
**„პორტუ“ — „არსენალი“,**
**„მილანი“ — „მანჩესტერი“.**

ამ ეტაპის შეხვედრები 16-17 და 23-24 თებერვალს გაიმართება, ფინალურ მატჩს კი 22 მაისს მადრიდი უმასპინძლებს.

◉ ფეხბურთი

# მხოლოდ შედეგები

**დასრულდა ევროპის ლიგის ჯგუფური ეტაპი. გაუწყებთ დასკვნითი ტურის შეხვედრათა შედეგებს:**

**„ა“ ჯგუფი.** „აიაქსი“ — „ანდერლეხტი“ 1:3, „დინამო“ (ზაგრებიძ — „ტიმიშოარა“ 1:2.

„ანდერლეხტი“, „აიაქსი“ — 11-11, „დინამო“ (ზაგრებიძ — 6, „ტიმიშოარა“ — 5 ქულა.

**„ბ“ ჯგუფი.** „ჯენოა“ — „ვალენსია“ 1:2, „ლილი“ — „სლავია“ 3:1.

„ვალენსია“ — 12, „ლილი“ — 10, „ჯენოა“ — 7, „სლავია“ — 3 ქულა.

**„გ“ ჯგუფი.** „ჰაპოელი“ — „ჰამბურგი“ 1:0, „რაპიდი“ — „სელტიკი“ 3:3.

„ჰაპოელი“ — 12, „ჰამბურგი“ — 10, „სელტიკი“ — 6, „რაპიდი“ — 5 ქულა.

**„დ“ ჯგუფი.** „ჰერენვენი“ — „ვენტსპილსი“ 5:0, „ჰერტა“ — „სპორტინგი“ 1:0.

„სპორტინგი“ — 11, „ჰერტა“ — 10, „ჰერენვენი“ — 8, „ვენტსპილსი“ — 3 ქულა.

**„ე“ ჯგუფი.** ცსკა (სოფიაძ — „რომა“ 0:3, „ბაზელი“ — „ფულჰემი“ 2:3.

„რომა“ — 13, „ფულჰემი“ — 11, „ბაზელი“ — 9, ცსკა (სოფიაძ — 1 ქულა.

**„ვ“ ჯგუფი.** „პანათინაიკოსი“ — „დინამო“ (ბუქარესტიძ 3:0, „შტურმი“ — „გალათასარაი“ 1:0.

„გალათასარაი“ — 13, „პანათინაიკოსი“ — 12, „დინამო“ (ბუქარესტიძ — 6, „შტურმი“ — 4 ქულა.

**„ზ“ ჯგუფი.** „ვილიარეალი“ — „ზალცბურგი“ 0:1, „ლაციო“ — „ლევსკი“ 0:1.

„ზალცბურგი“ — 18, „ვილიარეალი“ — 9, „ლაციო“ — 6, „ლევსკი“ — 3 ქულა.

**„თ“ ჯგუფი.** „ფენერბახჩე“ — „შერიფი“ 1:0, „სტიაუა“ — „ტვენტე“ 1:1.

„ფენერბახჩე“ — 15, „ტვენტე“ — 8, „შერიფი“ — 5, „სტიაუა“ — 4 ქულა.

**„ი“ ჯგუფი.** „ბენფიკა“ — აეკი 2:1, „ევერტონი“ — ბატე“ 0:1.

„ბენფიკა“ — 15, „ევერტონი“ — 9, ბატე — 7, აეკი — 4 ქულა.

**„კ“ ჯგუფი.** „პარტიზანი“ — „შახტარი“ 1:0, „ბრიუგე“ — „ტულუზა“ 1:0.

„შახტარი“ — 13, „ბრიუგე“ — 11, „ტულუზა“ — 7, „პარტიზანი“ — 3 ქულა.

**„ლ“ ჯგუფი.** „სპარტა“ — „კოპენჰაგენი“ 0:3, „კლუჟი“ — „ეინდჰოვენი 0:2.

„ეინდჰოვენი“ — 14, „კოპენჰაგენი“ — 10, „სპარტა“ — 7, „კლუჟი“ — 3 ქულა.

**„მ“ ჯგუფი.** „ნასიონალი“ — „აუსტრია“ 5:1, „ბილბაო“ — „ვერდერი“ 0:3.

„ვერდერი“ — 16, „ბილბაო“ — 10, „ნასიონალი“ — 5, „აუსტრია“ — 2 ქულა.

**18 და 25 თებერვალს მეთექვსმეტედფინალში ერთმანეთს შეხვდებიან:**

**„რუბინი“ — „ჰაპოელი“,**
**„ფულჰემი“ — „შახტარი“,**
**„ბილბაო“ — „ანდერლეხტი“,**



**„კოპენჰაგენი“ — „მარსელი“,**
**„პანათინაიკოსი“ — „რომა“,**
**„ატლეტიკო“ — „გალათასარაი“,**
**„აიაქსი“ — „იუვენტუსი“,**
**„ბრიუგე“ — „ვალენსია“,**
**„ლივერპული“ — „უნირეა“,**
**„ჰამბურგი“ — „ეინდჰოვენი“,**
**„ვილიარეალი“ — „ვოლფსბურგი“,**
**„სტანდარდი“ — „ზალცბურგი“,**
**„ტვენტე“ — „ვერდერი“,**
**„ლილი“ — „ფენერბახჩე,**
**„ევერტონი“ — „სპორტინგი“,**
**„ჰერტა“ — „ბენფიკა“.**

**ფინალური მატჩი 12 მაისს ჰამბურგში გაიმართება.**

◉ ინტერნეტიდან

## მხოლოდ „რომაში“

**32 წლის თავდამსხმელმა ფრანჩესკო ტოტიმ თავისი ბედი სამუდამოდ რომის „რომას“ დაუკავშირა. მან დედაქალაქის კლუბთან ახალი კონტრაქტი 2014 წლამდე გააფორმა. ხოლო როგორც კლუბის ხელმძღვანელობამ განაცხადა, მოქმედი ფეხბურთელის კარიერის დამთავრების შემდეგ მას ადგილი ელის კლუბისვე ტექნიკურ შტაბში.**

„მუდამ ვოცნებობდი, რომ მთელ ჩემს კარიერაში „რომას“ ფორმა მცმოდა“, — განაცხადა „რომას“ კაპიტანმა, — ჩემი ოცნება რეალობად იქცა!“




ფრანჩესკო ტოტის დებიუტი „რომაში“ 1992 წელს შედგა. იქიდან მოყოლებული A სერიის 430 მატჩში 187 გოლი გაიტანა. იტალიის ჩემპიონატების ისტორიაში ბომბარდირთა შორის ის მერვე ადგილზეა. წლეულს კი 11 მატჩში 9 ბურთი გაიტანა.

ევროპის ლიგის 9 ორთაბრძოლაში მან ექვსი ზუსტი დარტყმა შეასრულა.

მის ანგარიშზე 58 მატჩია იტალიის ნაკრების შემადგენლობაში, მასთან ერთად მსოფლიო ჩემპიონიც გახდა 2006 წელს.

## სირბილში ბოლტს აჯობა?

**თითქმის მთელი სპორტული სამყარო აალაპარაკა 17 წლის გრენადელმა სპრინტერმა კიარნი ჯეიმსმა კარიბის ზღვის რეგიონის ქვეყნების ახალგაზრდა მძლეოსნების შეჯიბრებაზე ნაჩვენები შედეგებით.**



ჭაბუკმა სპორტსმენმა დაამხო ამ თამაშების 6 წლის წინანდელი რეკორდი 400 მეტრზე სირბილში, ახლა უკვე სამგზის ოლიმპიურ ჩემპიონ უსეინ ბოლტს რომ ეკუთვნოდა.

ჯეიმსმა აჩვენა 45,45 წამი, რითაც 0,90 წამით გააუმჯობესა ბოლტის შედეგი. ახლა უკვე თითქმის გასულ სეზონში მან ყველა შეჯიბრებაზე გაიმარჯვა, რომელშიც კი მონაწილეობდა.

ის მსოფლიო ჩემპიონი გახდა ჭაბუკებს შორის 200 და 400 მეტრზე სირბილში. გაიმარჯვა პანამერიკულ თამაშებზე ჭაბუკთა შორის.

## ლამაზმანები მალაიზიისკენ მიეშურებიან

**დღესა და ხვალ მალაიზიაში, დედაქალაქ კუალა-ლამპურიდან 25 კილომეტრზე საჩვენებელ ტურნირზე შეხვედრებს გამართავენ რუსეთელი ჩოგბურთელები ელენა დემენტიევა და მარია კირილენკო (ფოტოზეძ.**



რუსეთელი ლამაზმანი სპორტსმენების მეტოქეები იქნებიან აზიური ჩოგბურთის ვარსკვლავები — ინდოელი სანია მირზა და ჩინელი ჩჟან ცზე.

არენა, სადაც საჩოგბურთო ორთაბრძოლები გაიმართება, 40 ათას მაყურებელს იტევს.

ამ შეჯიბრებას არაოფიციალურად უწოდეს „რუსეთი აზიის წინააღმდეგ“. დღეს დემენტიევა მირზას შეხვდება, კირილენკო კი ჩინელს დაუპირისპირდება. ხვალ კი ისინი მეტოქეებს გაცვლიან.

# განცხადებები აუქციონის ჩატარების შესახებ

**2009 წლის 28 დეკემბერს, 11:00 საათზე, მისამართზე: თბილისი, კ. მარჯანიშვილის ქ. №7, II სართული, ბიბლიოთეკის დარბაზი, ჩატარდება აუქციონი, რომელზეც მოხდება შპს „ვერა“-სა (სარეგისტრაციო №204876848) და აზა ჭაავას (პ/ნ 62004009270) კუთვნილი უძრავი ნივთების რეალიზაცია.**

**გასაყიდად გამოტანილი იქნება შემდეგი ნივთები:**

• აზა ჭაავას კუთვნილი საცხოვრებელი ბინა №76, ფართობი: 31.00 კვ.მ. (მის.: თბილისი, ბახტრიონის ქ. №39), საწყისი ფასი: 39 422 (ოცდაცხრამეტი ათას ოთხას ოცდაორი) აშშ დოლარის ექვივალენტი.

• შპს „ვერა“-ს კუთვნილი საცხოვრებელი ბინა №28, მშენებარე, ფართობი: 165.35 კვ.მ. (მის.: ქ. თბილისი, ქვანიას ქ. №10, I სადარბაზო, მე-8 სართული, პირველი სექცია) საწყისი ფასი: 49 577 (ორმოცდაცხრა ათას ხუთას სამოცდაჩვიდმეტი) აშშ დოლარის ექვივალენტი.

• შპს „ვერა“-ს კუთვნილი საცხოვრებელი ბინა №29, მშენებარე, ფართობი: 136.05 კვ.მ. (მის.: ქ. თბილისი, ქვანიას ქ. №10, I სადარბაზო, მე-9 სართული, I სექცია) საწყისი ფასი: 40 792 (ორმოცი ათას შვიდას ოთხმოცდათორმეტი) აშშ დოლარის ექვივალენტი.

• შპს „ვერა“-ს კუთვნილი საცხოვრებელი ბინა №30, მშენებარე, ფართობი: 135.70 კვ.მ. (მის.: ქ. თბილისი, ქვანიას ქ. №10, I სადარბაზო, მე-9 სართული, I სექცია) საწყისი ფასი: 40 687 (ორმოცი ათას ექვსას ოთხმოცდაშვიდი) აშშ დოლარის ექვივალენტი.

• შპს „ვერა“-ს კუთვნილი საცხოვრებელი ბინა №32, მშენებარე, ფართობი: 165.35 კვ.მ. (მის.: ქ. თბილისი, ქვანიას ქ. №10, I სადარბაზო, მე-9 სართული) საწყისი ფასი: 48 708 (ორმოცდარვა ათას შვიდას რვა) აშშ დოლარის ექვივალენტი.

• შპს „ვერა“-ს კუთვნილი საცხოვრებელი ბინა №30, მშენებარე, ფართობი: 217.20 კვ.მ. (მის.: ქ. თბილისი, ქვანიას ქ. №10, II სადარბაზო, მე-10 სართული, II სექცია) საწყისი ფასი: 65 124 (სამოცდახუთი ათას ას ოცდაოთხი) აშშ დოლარის ექვივალენტი.

• შპს „ვერა“-ს კუთვნილი საცხოვრებელი ბინა №31, მშენებარე, ფართობი: 162.45 კვ.მ. (მის.: ქ. თბილისი, ქვანიას ქ. №10, II სადარბაზო, მე-11 სართული, II სექცია) საწყისი ფასი: 48 708 (ორმოცდარვა ათას შვიდას რვა) აშშ დოლარის ექვივალენტი.

ყველა, ვისაც უფლებები აქვს აუქციონზე გასაყიდ ნივთ(ებ)ზე, ვალდებულია, ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებანი წარადგინოს აუქციონის დაწყებამდე.

აუქციონში მონაწილეობის მსურველმა უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია, რომელიც უზრუნველყოფს მონაწილის მიერ თანხის სრულად დაფარვას აუქციონში გამარჯვების შემთხევევაში; საბანკო გარანტიის ოდენობა უნდა შეადგენდეს უძრავი ნივთის საწყისი ფასის ერთ მეათედს; საბანკო გარანტიის პირველად ბენეფიციარად დასახელებული უნდა იყოს კრედიტორი - სს „თიბისი ბანკი“.

აუქციონში გამარჯვებულად გამოცხადდება ის, ვინც ვაჭრობაზე დააფიქსირებს ყველაზე მაღალ ფასს.

აუქციონში გამარჯვებული ვალდებული იქნება გადასახდელი თანხა ერთი კვირის განმავლობაში შეიტანოს ან ჩარიცხოს ანგარიშზე №250114005 (სს „თიბისი ბანკის“ მარჯანიშვილის ფილიალი), რის შემდეგაც ის გახდება აუქციონზე შეძენილი ნივთის მესაკუთრე.

**სპეციალისტი სს "თიბისი ბანკი"**
**მისამართი: თბილისი, კ. მარჯანიშვილის ქ. №7**

**საჯარო შეტყობინება აუქციონის შესახებ შპს „ჰიდროსპეცგვირაბმშენს“, შპს „ვერა“-ს, აზა ჭაავას, მოველი ჭაავასა და გოგი გულუას**

ეცნობოს შპს „ჰიდროსპეცგვირაბმშენს“, შპს „ვერა“-ს, აზა ჭაავას, მოველი ჭაავასა და გოგი გულუას, რომ ზემოაღნიშნული ინფორმაცია, აუცქიონის შესახებ, ითვლება მათთვის საჯარო შეტყობინებად. ამასთან, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, უწყება(შეტყობინება) მხარეებისათვის ჩაბარებულად ითვლება მისი გაზეთში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

**სპეციალისტი სს "თიბისი ბანკი"**
**მისამართი: თბილისი, კ. მარჯანიშვილის ქ. №7**

---

**2009 წლის 29 დეკემბერს 10:30 საათზე მისამართზე: თბილისი, კ. მარჯანიშვილის ქ. №7 ტარდება აუქციონი, რომელზეც მოხდება შპს "მკათათვეს" (მისამართი: გურჯაანის რაიონი სოფ. კაჭრეთი ს/ნ 227756728) კუთვნილი უძრავი ნივთების რეალიზაცია.**

**გასაყიდად გამოტანილი იქნება შემდეგი უძრავი ნივთები:**

1. მის.: სოფ. ზიარი, საკადასტრო კოდი 51.18.01.704, დაზუსტებული ფართობი 70 000 კვ.მ., შენობა-ნაგებობების საერთო ფართი3406.8 კვ.მ., ნაკვეთის ფუნქცია – სასოფლო-სამეურნეო, უძრავი ნივთის საწყისიფასია 10 000 (ათი ათასი) აშშ დოლარის ექვივალენტი;
2. სიღნაღის რაიონში, სოფ. ბოდბისხევში მდებარე უძრავი ნივთები:

• საკადასტრო კოდი 56.05.29.001, დაუზუსტებელი ფართობი 1 200 000 კვ.მ. ნაკვეთის ფუნქცია – სასოფლო-სამეურნეო;

• საკადასტრო კოდი 56.05.32.009, დაუზუსტებელი ფართობი 200 000 კვ.მ. ნაკვეთის ფუნქცია – სასოფლო-სამეურნეო;

• საკადასტრო კოდი 56.05.32.008, დაუზუსტებელი ფართობი 300 000 კვ.მ. ნაკვეთის ფუნქცია – სასოფლო-სამეურნეო;

• საკადასტრო კოდი 56.05.29.045, დაუზუსტებელი ფართობი 1 470 000 კვ.მ. ნაკვეთის ფუნქცია – სასოფლო-სამეურნეო;

*უძრავი ნივთების საწყისი ფასია 40 000 (ორმოციათასი) აშშ დოლარი;*

ყველა, ვისაც უფლებები აქვს აუქციონზე გასაყიდ ნივთ(ებ)ზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებანი წარადგინოს აუქციონის დაწყებამდე.

აუქციონში მონაწილეობის მსურველმა უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია, რომელიც უზრუნველყოფს მონაწილის მიერ თანხის სრულად დაფარვას აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში; საბანკო გარანტიის ოდენობა უნდა შეადგენდეს უძრავი ნივთის საწყისი ფასის ერთ მეათედს; საბანკო გარანტიის პირველად ბენეფიციარად დასახელებული უნდა იყოს კრედიტორი - სს "თიბისი ბანკი".

თითოეულ ნივთთან დაკავშირებით აუქციონში გამარჯვებულად გამოცხადდება პირი, რომელიც დააფიქსირებს ყველაზე მაღალ ფასს.

აუქციონში გამარჯვებული ვალდებული იქნება გადასახდელი თანხა ერთი კვირის განმავლობაში შეიტანოს ან ჩარიცხოს ანგარიშზე №250114005 (სს "თიბისი ბანკის" მარჯანიშვილის ფილიალი), რის შემდეგაც ის გახდება აუქციონზე შეძენილი ნივთის ან ნივთების მესაკუთრე.

**სპეციალისტი სს "თიბისი ბანკი"**
**მისამართი: თბილისი, კ. მარჯანიშვილის ქ. №7**

---

**2009 წლის 29 დეკემბერს 10:00 საათზე მისამართზე: თბილისი, კ. მარჯანიშვილის ქ. №7 ტარდება აუქციონი, რომელზეც მოხდება შპს "მკათათვეს" (მისამართი: გურჯაანის რაიონი სოფ. კაჭრეთი ს/ნ 227756728) კუთვნილი უძრავი ნივთის რეალიზაცია.**

**გასაყიდად გამოტანილი იქნება შემდეგი უძრავი ნივთი:**

მის.: გურჯაანის რაიონი, სოფ. კაჭრეთი, საკადასტრო კოდი 51.20.06.679, დაზუსტებული ფართობი 90000 კვ.მ., შენობა-ნაგებობების საერთო ფართი 64780.30 კვ.მ. უძრავი ნივთის საწყისი ფასია 400 000 (ოთხასიათასი) აშშ დოლარის ექვივალენტი ეროვნულ ვალუტაში.

ყველა, ვისაც უფლებები აქვს აუქციონზე გასაყიდ ნივთ(ებ)ზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებანი წარადგინოს აუქციონის დაწყებამდე.

აუქციონში მონაწილეობის მსურველმა უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია, რომელიც უზრუნველყოფს მონაწილის მიერ თანხის სრულად დაფარვას აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში; საბანკო გარანტიის ოდენობა უნდა შეადგენდეს უძრავი ნივთის საწყისი ფასის ერთ მეათედს; საბანკო გარანტიის პირველად ბენეფიციარად დასახელებული უნდა იყოს კრედიტორი - სს "თიბისი ბანკი".

თითოეულ ნივთთან დაკავშირებით აუქციონში გამარჯვებულად გამოცხადდება პირი, რომელიც დააფიქსირებს ყველაზე მაღალ ფასს.

აუქციონში გამარჯვებული ვალდებული იქნება გადასახდელი თანხა ერთი კვირის განმავლობაში შეიტანოს ან ჩარიცხოს ანგარიშზე №250114005 (სს "თიბისი ბანკის" მარჯანიშვილის ფილიალი), რის შემდეგაც ის გახდება აუქციონზე შეძენილი ნივთის ან ნივთების მესაკუთრე.

**სპეციალისტი სს "თიბისი ბანკი"**
**მისამართი: თბილისი, კ. მარჯანიშვილის ქ. №7**

---

**2009 წლის 28 დეკემბერს, 10.00 საათზე, მისამართზე: თბილისი, კ. მარჯანიშვილის ქ. №7, II სართული, ბიბლიოთეკის დარბაზი, ჩატარდება აუქციონი, რომელზეც მოხდება მურმან მეგრელიძის (პ/ნ 61004000625, მის.: ქობულეთი, დ. აღმაშენებლის გამზირი №468) კუთვნილი უძრავი ნივთის რეალიზაცია.**

**გასაყიდად გამოტანილი იქნება შემდეგი ქონება:**

• მურმან მეგრელიძის კუთვნილი მიწის ნაკვეთი შენობა-ნაგებობ(ებ)ით, მიწის ნაკვეთის ფართი: 520 კვ.მ., შენობა-ნაგებობ(ებ)ის საერთო ფართი: 822.00 კვ.მ (მის.: ქობულეთი, დ. აღმაშენებლის გამზირი №468ა). საწყისი ფასი: 114,001.29 (ას თოთხმეტი ათას ერთი აშშ დოლარი და 29 ცენტი) აშშ დოლარის ექვივალენტი.

ყველა, ვისაც უფლებები აქვს აუქციონზე გასაყიდ ნივთ(ებ)ზე, ვალდებულია, ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებანი წარადგინოს აუქციონის დაწყებამდე.

აუქციონში მონაწილეობის მსურველმა უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია, რომელიც უზრუნველყოფს მონაწილის მიერ თანხის სრულად დაფარვას აუქციონში გამარჯვების შემთხევევაში; საბანკო გარანტიის ოდენობა უნდა შეადგენდეს უძრავი ნივთის საწყისი ფასის ერთ მეათედს; საბანკო გარანტიის პირველად ბენეფიციარად დასახელებული უნდა იყოს კრედიტორი - სს "თიბისი ბანკი".

აუქციონში გამარჯვებულად გამოცხადდება ის, ვინც ვაჭრობაზე დააფიქსირებს ყველაზე მაღალ ფასს.

აუქციონში გამარჯვებული ვალდებული იქნება გადასახდელი თანხა ერთი კვირის განმავლობაში შეიტანოს ან ჩარიცხოს ანგარიშზე №250114005 (სს 'თიბისი ბანკის" მარჯანიშვილის ფილიალი), რის შემდეგაც ის გახდება აუქციონზე შეძენილი ნივთის მესაკუთრე.

**საჯარო შეტყობინება აუქციონის შესახებ მურმან მეგრელიძესა და დავით მეგრელიძეს**

ეცნობოს მურმან მეგრელიძესა და დავით მეგრელიძეს, რომ ზემოაღნიშნული ინფორმაცია, აუქციონის შესახებ, ითვლება მათთვის საჯარო შეტყობინებად. ამასთან, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, უწყება(შეტყობინება) მხარეებისათვის ჩაბარებულად ითვლება მისი გაზეთში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

**სპეციალისტი სს "თიბისი ბანკი"**
**მისამართი: თბილისი, კ. მარჯანიშვილის ქ. №7**

---

**2009 წლის 28 დეკემბერს, 10.15 საათზე, მისამართზე: თბილისი, კ. მარჯანიშვილის ქ. №7, II სართული, ბიბლიოთეკის დარბაზი, ჩატარდება აუქციონი, რომელზეც მოხდება ირაკლი ფარცვანიას (პ/ნ 61001033075, მის.: ბათუმი, ნინოშვილის ქ.№3), შპს 'სოლარი +"-ის (საიდენტიფიკაციო/რეგისტრაციის № 245604751), ოლეგი აგაჯანიანისა (პ/ნ 61001008919, მის.: ბათუმი, ენგელსის ქ.№73) და გოჩა მეგრელიძის (პ/ნ 61001019355, ბათუმი, ჯავახიშვილის ქ. №75, ბინა 25) კუთვნილი უძრავი ნივთების რეალიზაცია.**

**გასაყიდად გამოტანილი იქნება შემდეგი ქონება:**

• ირაკლი ფარცვანიას კუთვნილი საცხოვრებელი ბინა №1, ფართი: 90.80 კვ.მ. (მის.: ბათუმი, ნინოშვილის ქ.№3). საწყისი ფასი: 65 713 (სამოცდახუთი ათას შვიდას ცამეტი) აშშ დოლარის ექვივალენტი.

• შპს „სოლარი +"-ის კუთვნილი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, ფართი: 6512.00 კვ.მ (მის.: ხელვაჩაურის რ-ნი, სოფ. ხელვაჩაური). საწყისი ფასი: 42 198 (ორმოცდაორი ათას ას ოთხმოცდათვრამეტი) აშშ დოლარის ექვივალენტი.

• ოლეგი აგაჯანიანის კუთვნილი საცხოვრებელი ბინა ფართით 170.56 კვ.მ. (მის.: ბათუმი, მელიქიშვილის ქ. №73). უძრავი ნივთის მახასიათებლები: მიწის ნაკვეთი ფართით 449.00 კვ.მ. - საერთო საკუთრება, შენობა-ნაგებობები საერთო ფართით 213.77 კვ.მ. აქედან 170.56 კვ.მ. ოლეგი აგაჯანიანის საკუთრება. საწყისი ფასი: 74 952 (სამოცდათოთხმეტი ათას ცხრაას ორმოცდათორმეტი) აშშ დოლარის ეწვივალენტი.

• გოჩა მეგრელიშვილის კუთვნილი საცხოვრებელი სახლი მიწის ნაკვეთით ფართი: 800 კვ.მ. საცხოვრებელი სახლის საერთო სასარგებლო ფართი: 85.41 კვ.მ. (მის.: ქობულეთის რაიონი, დაბა ჩაქვი, ქობულეთის ქ.№46), საწყისი ფასი: 91 698 (ოთხმოცდათერთმეტი ათას ექვსას ოთხმოცდათვრამეტი) აშშ დოლარის ექვივალენტი.

ყველა, ვისაც უფლებები აქვს აუქციონზე გასაყიდ ნივთ(ებ)ზე, ვალდებულია, ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებანი წარადგინოს აუქციონის დაწყებამდე.

აუქციონში მონაწილეობის მსურველმა უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია, რომელიც უზრუნველყოფს მონაწილის მიერ თანხის სრულად დაფარვას აუქციონში გამარჯვების შემთხევევაში; საბანკო გარანტიის ოდენობა უნდა შეადგენდეს უძრავი ნივთის საწყისი ფასის ერთ მეათედს; საბანკო გარანტიის პირველად ბენეფიციარად დასახელებული უნდა იყოს კრედიტორი - სს "თიბისი ბანკი".

აუქციონში გამარჯვებულად გამოცხადდება ის, ვინც ვაჭრობაზე დააფიქსირებს ყველაზე მაღალ ფასს.

აუქციონში გამარჯვებული ვალდებული იქნება გადასახდელი თანხა ერთი კვირის განმავლობაში შეიტანოს ან ჩარიცხოს ანგარიშზე №250114005 (სს „თიბისი ბანკის" მარჯანიშვილის ფილიალი), რის შემდეგაც ის გახდება აუქციონზე შეძენილი ნივთის მესაკუთრე.

**საჯარო შეტყობინება აუქციონის შესახებ ირაკლი ფარცვანიას, შპს 'სოლარი +"-ს, ოლეგი აგაჯანიანსა და გოჩა მეგრელიშვილს**

ეცნობოს ირაკლი ფარცვანიას, შპს 'სოლარი +"-ს, ოლეგი აგაჯანიანსა და გოჩა მეგრელიშვილს, რომ რომ ზემოაღნიშნული ინფორმაცია, აუცქიონის შესახებ, ითვლება მათთვის საჯარო შეტყობინებად. ამასთან, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, უწყება(შეტყობინება) მხარეებისათვის ჩაბარებულად ითვლება მისი გაზეთში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

**სპეციალისტი სს "თიბისი ბანკი"**
**მისამართი: თბილისი, კ. მარჯანიშვილის ქ. №7**

---

**2009 წლის 29 დეკემბერს 11:00 საათზე მისამართზე: თბილისი, კ. მარჯანიშვილის ქ. №7 ტარდება აუქციონი, რომელზეც მოხდება შპს "მკათათვეს" (მისამართი: გურჯაანის რაიონი სოფ. კაჭრეთი ს/ნ 227756728) კუთვნილი მოძრავი ნივთის რეალიზაცია.**

**გასაყიდად გამოტანილი იქნება შემდეგი მოძრავი ნივთი:**

მის.: გურჯაანის რაიონი, სოფ. კაჭრეთში მდებარე წისქვილკომბინატი, რაც შედგება შემდეგი ნივთებისგან: 111 ტრანსპორტიორი, 62 ნორიო, 37 ჩარხი, 23 სასწორი, 205 ელ. მოწყობილობა, 140 ლაბორატორიის მოწყობილობა და 321 750 სხვა მოწყობილობა,.

გასაყიდად გამოტანილი მოძრავი ნივთის საწყისი ფასია 100 000 (ასიათასი) აშშ დოლარის ექვივალენტი.

ყველა, ვისაც უფლებები აქვს აუქციონზე გასაყიდ ნივთ(ებ)ზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებანი წარადგინოს აუქციონის დაწყებამდე.

აუქციონში მონაწილეობის მსურველმა უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია, რომელიც უზრუნველყოფს მონაწილის მიერ თანხის სრულად დაფარვას აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში; საბანკო გარანტიის ოდენობა უნდა შეადგენდეს მოძრავი ნივთის საწყისი ფასის ერთ მეათედს; საბანკო გარანტიის პირველად ბენეფიციარად დასახელებული უნდა იყოს კრედიტორი - სს "თიბისი ბანკი".

თითოეულ ნივთთან დაკავშირებით აუქციონში გამარჯვებულად გამოცხადდება პირი, რომელიც დააფიქსირებს ყველაზე მაღალ ფასს.

აუქციონში გამარჯვებული ვალდებული იქნება გადასახდელი თანხა ერთი კვირის განმავლობაში შეიტანოს ან ჩარიცხოს ანგარიშზე №250114005 (სს "თიბისი ბანკის" მარჯანიშვილის ფილიალი), რის შემდეგაც ის გახდება აუქციონზე შეძენილი ნივთის ან ნივთების მესაკუთრე.

**სპეციალისტი სს "თიბისი ბანკი"**
**მისამართი: თბილისი, კ. მარჯანიშვილის ქ. №7**



მეუღლე თამარი, შვილები ნინო, ალექსანდრე იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ჯანგირ ალექსანდრეს ძე მამალაძე

პანაშვიდი 20, 21 XII, 17 სთ. დაკრძალვა 22 XII, 14 სთ. ბალანჩივაძის ქ. კორპუსი 5, I სადარბაზო, მე-8 სართული.

---

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ცნობილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, წლების მანძილზე ჟურნალ „მედიცინის“ მთავარი რედაქტორი, ჩვენი გაზეთის ძველი ავტორი და მეგობარი, გულისხმიერებით გამორჩეული კოლეგა, ფრიად კაცთმოყვარე და სხვათა ჭირის გამზიარებელი

ჯანგირ მამალაძე

და გულწრფელ სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

მეუღლე ივეტა, შვილები ნინო, ია, სიძეები ზაზა ბერძენიშვილი, პაატა წივწივაძე, შვილიშვილები ირაკლი, ლევანი, ნინო, გიორგი, რძალი სალომე, მძახალი ლამარა გიორგობიანი, ბიძა ვაჟა ჟღენტი, ბიძაშვილები ავთო ჟღენტი, ვალიკო, ციალა, მედიკო ყანჩელები, დეიდაშვილი ზურაბ ჯანხოტელი ოჯახით იუწყებიან

თენგიზ ვახტანგის ძე ყანჩელის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 20, 21 XII, 16 სთ. გამოსვენება 22 XII, 14 სთ. მისამართი იკ. ხვიჩიას 23, მე-2 სადარბაზო.

---

ალექსანდრე, ნანა ჩხეიძეები ღრმა მწუხარებით იუწყებიან უახლოესი მეგობრის

თენგიზ ვახტანგის ძე ყანჩელის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

## განცხადება აუქციონის შესახებ

**2009 წლის 28 დეკემბერს, 12.00 საათზე, მისამართზე: თბილისი, კ. მარჯანიშვილის ქ. №7, II სართული, ბიბლიოთეკის დარბაზი, ჩატარდება აუქციონი, რომელზეც მოხდება ამხანაგობა „ჩიტაძე 11“-ის (საიდენტიფიკაციო ნომერი: 204532041, მის.: თბილისი, ჩიტაძის ქ. №11), შპს „ევრობილდინგი“-სა (საიდენტიფიკაციო ნომერი: 200155438, მის.: ძმ. ზუბალაშვილების ქ. №2) და ვიაჩესლავ სბორშიკოვის (პ/ნ 01011704719, მის.: თბილისი, ჩიტაძის 11, მე-4 სადაბაზო, ბინა №41), კუთვნილი უძრავი ნივთების რეალიზაცია.**

**აუქციონზე გასაყიდად გამოტანილი იქნება შემდეგი ქონება:**

- „ჩიტაძე 11“-ის კუთვნილი საოფისე ფართი №1 (მშენებარე), მის.: თბილისი, ჩიტაძის ქ. №11, მე-2 სართული, ფართი: 105.37 კვ.მ.
- „ჩიტაძე 11“-ის კუთვნილი კომერციული ფართი №4 (მშენებარე), მის.: თბილისი, ჩიტაძის ქ. №11, მე-3 სადარბაზო, 1-ლი სართული, ფართი: 103.60 კვ.მ.
- „ჩიტაძე 11“-ის კუთვნილი საოფისე ფართი №4 (მშენებარე), მის.: თბილისი, ჩიტაძის ქ. №11, 1-ლი სადარბაზო, მე-2 სართული, ფართი: 76.53 კვ.მ.
- „ჩიტაძე 11“-ის კუთვნილი საოფისე ფართი №5 (მშენებარე), მის.: თბილისი, ჩიტაძის ქ. №11, 1-ლი სადარბაზო, მე-2 სართული, ფართი: 35.7 კვ.მ.
- „ჩიტაძე 11“-ის კუთვნილი საოფისე ფართი №6 (მშენებარე), მის.: თბილისი, ჩიტაძის ქ. №11, მე-2 სადარბაზო, მე-2 სართული, ფართი: 78.97 კვ.მ.
- „ჩიტაძე 11“-ის კუთვნილი საცხოვრებელი ბინა №47 (მშენებარე), მის.: თბილისი, ჩიტაძის ქ. №11, მე-4 სადარბაზო, მე-3 სართული, ფართი: 70.05 კვ.მ.
- „ჩიტაძე 11“-ის კუთვნილი საცხოვრებელი ბინა №51 (მშენებარე), მის.: თბილისი, ჩიტაძის ქ. №11, მე-4 სადარბაზო, მე-5 სართული, ფართი: 78.66 კვ.მ.
- შპს „ევრობილდინგის“ კუთვნილი საცხოვრებელი ბინა №40 (მშენებარე), მის.: თბილისი, ჩიტაძის ქ. №11, მე-4 სადარბაზო, 1-ლი სართული, ფართი: 71.66 კვ.მ.
- ვიაჩესლავ სბორშიკოვის კუთვნილი საცხოვრებელი ბინა №41 (მშენებარე), მის.: თბილისი, ჩიტაძის ქ. №11, მე-4 სადარბაზო, ფართი: 47.48 კვ.მ.
- „ჩიტაძე 11“-ის კუთვნილი საცხოვრებელი ბინა №3 (მშენებარე), მის.: თბილისი, ჩიტაძის ქ. №11, 1-ლი სადარბაზო, მე-3 სართული, ფართი: 102.55 კვ.მ.
- შპს „ევრობილდინგის“ კუთვნილი საცხოვრებელი ბინა №4 (მშენებარე), მის.: თბილისი, ჩიტაძის ქ. №11, მე-4 სართული, ფართი: 70.44 კვ.მ.
- „ჩიტაძე 11“-ის კუთვნილი საცხოვრებელი ბინა №7 (მშენებარე), მის.: თბილისი, ჩიტაძის ქ. №11, 1-ლი სადარბაზო, მე-4 სართული, ფართი: 44.75 კვ.მ.

უძრავი ნივთების საწყისი ფასი: 554,779.81 (ხუთას ორმოცდათოთხმეტი ათას შვიდას სამოცდაცხრამეტი აშშ დოლარი და 81 ცენტი) აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში.

ყველა, ვისაც უფლებები აქვს აუქციონზე გასაყიდ ნივთ(ებ)ზე, ვალდებულია, ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებანი წარადგინოს აუქციონის დაწყებამდე.

აუქციონში მონაწილეობის მსურველმა უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია, რომელიც უზრუნველყოფს მონაწილის მიერ თანხის სრულად დაფარვას აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში; საბანკო გარანტიის ოდენობა უნდა შეადგენდეს უძრავი ნივთის საწყისი ფასის ერთ მეათედს; საბანკო გარანტიის პირველად ბენეფიციარად დასახელებული უნდა იყოს კრედიტორი - სს „თიბისი ბანკი“.

აუქციონში გამარჯვებულად გამოცხადდება ის, ვინც ვაჭრობაზე დააფიქსირებს ყველაზე მაღალ ფასს.

აუქციონში გამარჯვებული ვალდებული იქნება გადასახდელი თანხა ერთი კვირის განმავლობაში შეიტანოს ან ჩარიცხოს ანგარიშზე №250114005 (სს „თიბისი ბანკის“ მარჯანიშვილის ფილიალი), რის შემდეგაც ის გახდება აუქციონზე შეძენილი ნივთის მესაკუთრე.

საჯარო შეტყობინება აუქციონის შესახებ ამხანაგობა 'ჩიტაძე 11“-ს, შპს „ევრობილდინგს“, ვიაჩესლავ სბორშიკოვს, არჩილ არველაძესა და ტომას საკალაუსკასს

ეცნობოს ამხანაგობა „ჩიტაძე 11“-ს, შპს „ევრობილდინგს“, ვიაჩესლავ სბორშიკოვს, არჩილ არველაძესა და ტომას საკალაუსკასს, რომ ზემოაღნიშნული ინფორმაცია, აუცქიონის შესახებ, ითვლება მათთვის საჯარო შეტყობინებად. ამასთან, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, უწყება(შეტყობინება) მხარეებისათვის ჩაბარებულად ითვლება მისი გაზეთში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

**სპეციალისტი სს "თიბისი ბანკი"**
**მისამართი: თბილისი, კ. მარჯანიშვილის ქ. №7**

ხსოვნა

# რევაზ გაგნიძე

2009 წლის 17 დეკემბერს გარდაიცვალა ცნობილი ბოტანიკოსი, თბილისის ბოტანიკური ბაღისა და ბოტანიკის ინსტიტუტის მცენარეთა სისტემატიკისა და გეოგრაფიის განყოფილების გამგე, ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი რევაზ გაგნიძე.

პირველი სამეცნიერო სტატია 1954 წელს გამოაქვეყნა, მაშინ თბილისის ი. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტის მე-4 კურსის სტუდენტი იყო. მას შემდეგ თავდადებული სამეცნიერო მუშაობა სიცოცხლის ბოლო დღემდე არ შეუწყვეტია.

რ. გაგნიძის მეცნიერული ინტერესების სფერო მოიცავდა მცენარეთა სისტემატიკის, ფლორისტიკის, ბოტანიკური გეოგრაფიის, ფიტოგეოგრაფიისა და მცენარეული მრავალფეროვნების დაცვის პრობლემებს.

150-მდე სამეცნიერო შრომის, მათ შორის 10 წიგნის ავტორი და თანაავტორია. განსაკუთრებით დიდია ღვაწლი რ. გაგნიძისა, როგორც ერთ-ერთი ძირითადი ავტორის და რედაქტორისა, „საქართველოს ფლორის“ მრავალტომეულის გამოცემაში.

ბოტანიკოსებისათვის სამაგიდო წიგნად იქცა მის მიერ შედგენილი „საქართველოს ფლორის კონსპექტი, ნომენკლატურული ნუსხა“.

იღვწოდა ბოტანიკური ცოდნის პოპულარიზაციისათვის — დაწერილი აქვს სტატიები ქართული ენციკლოპედიისათვის, არის სამეცნიერო-პოპულარული წიგნის „სვანეთის“ თანაავტორი და სხვ.

ფეხით აქვს შემოვლილი საქართველოს მთაბარი: იყო ფლორის შემსწავლელი მრავალი ექსპედიციის წევრი და ხელმძღვანელი. სხვადასხვა დროს მონაწილეობდა ბოტანიკურ ექსპედიციებში აპენინებზე, ალპებში, ბალკანეთში კარპატებში, პამირზე, ტიან-შანზე, კამჩატკაზე, ინდოეთის ოკეანის კუნძულებზე.

1978-79 წწ. მუშაობდა სირიის არაბთა რესპუბლიკაში და შექმნა ამ ქვეყნის დასავლეთ ნაწილის გეობოტანიკური რუკა.



სიტყვით და საქმით იბრძოდა საქართველოს ბუნების დასაცავად, შესრულებული აქვს დიდ მშენებლობებთან დაკავშირებული ეკოლოგიური ექსპერტიზის სამუშაოები.

მრავალმხრივ პედაგოგიურ საქმიანობას ეწეოდა: მთავარი ისაა, რომ 1982-2006 წწ. იყო თბილისის ი. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბოტანიკის კათედრის გამგე. ამ პერიოდში კითხულობდა 10-მდე სალექციო კურსს, სამეცნიერო ხელმძღვანელობას უწევდა მაგისტრანტებს, გამოაქვეყნა 3 ბოტანიკური სახელმძღვანელო სტუდენტებისათვის და სხვ.

მისი ხელმძღვანელობით ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი მოიპოვა არაერთმა ახალგაზრდა მკვლევარმა.

ამაგი დასდო მოსწავლეთა განათლების საქმესაც: წლების განმავლობაში იყო თბილისის ნორჩ ნატურალისტთა სადგურის მეთოდისტი, კარგა ხანს საშუალო სკოლაში ბოტანიკა უცხო ენიდან მისი მონაწილეობით გადმოქართულებული სახელმძღვანელოთი ისწავლებოდა და სხვ.

ბოლო ხანს ბევრი გააკეთა საზღვარგარეთის ბოტანიკურ ლიტერატურაში საქართველოს მცენარეული სამყაროს სიმდიდრისა და განსაკუთრებულობის წარმოსაჩენად: გამოაქვეყნა სტატიები საქართველოს ფლორის ტაქსონომიური სტრუქტურის, ენდემიზმისა და სხვ. შესახებ.

წავიდა ჩვენგან ღვაწლმოსილი კაცი — მეცნიერი, პედაგოგი, მოქალაქე... მაგრამ დატოვა დიდი მეცნიერული მემკვიდრეობა, რომელიც მნიშვნელობას არასოდეს დაჰკარგავს.

თბილისის ბოტანიკური ბაღი და
ბოტანიკის ინსტიტუტი,
საქართველოს ბოტანიკოსთა საზოგადოება.

---

# შოთა სეფიაშვილი

წავიდა ამ ქვეყნიდან უაღრესად დიდი პიროვნება, ბატონი შოთა სეფიაშვილი, რომელიც იდგა ქართული ბიზნესის განვითარების სათავეებში კომუნისტური საქართველოს პერიოდში.

დაიბადა 1928 წლის 14 ივლისს ლაილაშში. 1935 წელს სწავლა დაიწყო ქ.ქუთაისის მე-8 საშუალო სკოლაში. უმძიმესი პერიოდი იყო ქვეყანაში, უჭირდა ოჯახსაც და 12 წლის ასაკში, სწავლასთან ერთად უმძიმეს პირობებში უწევდა შრომა, მაგრამ მაინც იგი წარჩინებული მოსწავლე იყო.



მალე სამამულო ომი დაიწყო. დამწუხრებული ოჯახები ლებულობდნენ უწყებებს ომში დაკარგულ ახლობლებზე. შოთაც ცდილობდა, თავისი უმძიმესი შრომით დახმარებოდა გაუბედურებულ ოჯახებს, ამისათვის იძულებული გახდა, სწავლაზე დროებით უარი ეთქვა...

ომის დამთავრების შემდეგ შოთა სეფიაშვილი წარჩინებით ასრულებს სწავლას როგორც სკოლაში, ასევე უმაღლესში და ეკონომისტის დიპლომით მუშაობას იწყებს ქალაქ ქუთაისის ტექსტილვაჭრობის ბაზაში, აბრეშუმის განყოფილებაში, სადაც საუკეთესო საქმიანი და პიროვნული თვისებების გამო, სრულიად ახალგაზრდა, განყოფილების გამგის თანამდებობაზე დანიშნა. იგი იყო ხალხის შესანიშნავი წარმომადგენელი, უანგარო მეგობარი, ყველას გვერდში მდგომი და დამხმარე, სიხარულის და ტკივილის გამზიარებელი.

60 წლის განმავლობაში მას ერთგულად ედგა მხარში შესანიშნავი მეუღლე და მეგობარი ქალბატონი ალისა, რომელმაც მასთან ერთად გაატარა ყველაზე რთული და ბედნიერი წლები. მათ ერთად აღზარდეს სამი შესანიშნავი ვაჟკაცი, საზოგადო მოღვაწეები და შესანიშნავი ექიმები. მათ არამარტო თავისი შვილები, არამედ მრავალი ახალგაზრდა დააყენეს სწორ გზაზე და მისცეს საშუალება, რომ ესწავლათ და გამოსულიყვნენ საამაყო პიროვნებები.

ქალაქ იერუსალიმის წამყვან კლინიკებში მუშაობს ბატონი შოთას ორი ვაჟი — უფროსი შარლი სეფიაშვილი — მედიცინის დოქტორი, წამყვანი სპეციალისტი მეანობა-გინეკოლოგის პროფესიით, და უმცროსი — ომარ სეფიაშვილი — ცნობილი ექიმი-თერაპევტი შინაგანი დაავადებების მთავარი სპეციალისტი.

აკადემიკოსი რევაზ სეფიაშვილი — მსოფლიოში გამოჩენილი მეცნიერი, მსოფლიო იმუნოპათოლოგიის ორგანიზაციის პრეზიდენტია. არის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ალერგოლოგიის, ასთმისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო- კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი.

ღმერთი ფარავდეს თქვენს შთამომავლობას, ბატონო შოთა!

ალერგოლოგიის ასთმის და კლინიკური იმუნოლოგიის ინსტიტუტის კოლექტივი მოწიწებით მიაგებს პატივს გამოჩენილი მეცნიერის, საზოგადო მოღვაწის, შესანიშნავი მოქალაქის აკადემიკოს რევაზ სეფიაშვილის მამის შოთა სეფიაშვილის ნათელ ხსოვნას.

---

# ლალი მესარქიშვილი

პურპროდუქტების სისტემას შესანიშნავი ქალბატონი, ინჟინერ-ტექნოლოგი ლალი მესარქიშვილი გამოაკლდა.

ქალბატონი ლალი 1941 წელს დაიბადა. მისი დედა ეთერ კვინიხიძე იმ დროისათვის ცნობილი მეწარმე, თბილისის პურპროდუქტების მთავარი ინჟინერი გახლდათ. ლალიმ ჩვენს დარგში საკმაოდ საინტერესო გზა განვლო კვების მრეწველობის ინსპექციაში, საქპურტრესტში, კვების მრეწველობის სამინისტროს პურპროდუქტების დეპარტამენტში. შესანიშნავი პროფესიონალი და პუნქტუალური ინჟინერი, ასე დაგვამახსოვრა თავი.

სამწუხაროდ, პიროვნულად მეტად ტრაგიკული ბედი ხვდა წილად: მან ულამაზესი ქალიშვილი დაკარგა და ცხოვრება ფრთამოტეხილმა მძიმედ ატარა.

ნათელში იყოს მისი სული, რომელიც დიდ სულეთში ნახავს შვებას.



საქართველოს პურის
მრეწველთა კავშირი

### იხსენებენ

# თუ წარსულს არ დავაფასებთ, აწმყო არ გვექნება



აკაკი ხორავას სახელობის მსახიობთა სახლში იოსებ სტალინის 130 წლისთავის აღსანიშნავად, საქართველოს ომის, შრომისა და სამხედრო ვეტერანთა საიუბილეო – საზეიმო შეკრება გაიმართა, რათა პატივი მიეგოთ დიდი ბელადის ხსოვნისათვის.

შეკრება, ომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანთა ცენტრალური კავშირის თავმჯდომარის მოადგილემ რეზო ნაცარაშვილმა გახსნა.

ჯანსუღ ჩარკვიანი, პოეტი: „მოხარული ვარ აქ რომ ვიმყოფები. თუ არ დავაფასებთ წარსულს, აწმყო არ გვექნება“.

რეზო ნაცარაშვილი: „სტალინი იყო პიროვნება, რომელმაც თავი გამოიჩინა როგორც დიდმა თეორეტიკოსმა და პრაქტიკულმა სახელმწიფო მოღვაწემ. მან სიცოცხლეშივე თქვა, რომ „ჩვენ გვქონდა სიძნელეები, ასევე შეცდომები, ყველაფერს მე დამაბრალებენ. ვიცი, რომ ჩემი სიკვდილის შემდეგ ჩემს საფლავზე დაახვავებენ ნაგვის გროვას, მაგრამ ისტორიის ქარი მას ულმობლად გაფანტავსო. ყველა ის ანტისტალინელი ვაიმეცნიერი, რომელთაც მისი კრიტიკით თავის გამოჩენით ყოფნით თავხედობა, სამარცხვინო ბოძზე გაეკვრებიან. მათ არ იციან, რომ უნიჭო ძაგებით სტალინს უფრო ადიდებენ“.

ეკა მაშიანოვა

მურად ალაშვილის ფოტო.

### გახსენება

# ლამაზად შვილის გამზრდელი....

უნდა შევედავო ვაჟას, გენიალურ ფშაველს: „ლამაზად შვილის გამზრდელი დედა მიცვნია ღმერთადო“, რომ ამბობს... კი, ბატონო: დედაა ყველაფერი, დედაა სიცოცხლის საწყისი, დედის მკერდზე, დედის კალთაში იზრდება შვილი, მაგრამ, უკვე დიდობაში, მამის ცხოვრებასაც (ზნეობრივს თუ უზნეოსძ ხომ ბაძავს?..

ა, ბატონო, აგერ: ჩვენი გია, ჩვენი უმცროსი ძმა და კოლეგა გია პლატონიშვილი, ჩვენს გვერდით, „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციაში, თითქმის ოცი წელია რომ მუშაობს და ზრდილობის, კარგი ოჯახიშვილობის მაგალითია, ამბობს, რომ დედა ღმერთია ჩემთვის, მაგრამ მამისგანაც ბევრი რამ სასიკეთო ვისწავლეო...

– იგი ცდილობდა ესწავლებინა ჩემთვის სწავლისა და შრომის ყადრი, იგი იყო ერთადერთი მამაკაცი, ვინც მშობელთა კრებას ესწრებოდა და კლასის დამრიგებელსა და მასწავლებლებს ყოველ შაბათს ეკითხებოდა შვილის შესახებ, მამა იყო აკურატული და წესრიგის მოყვარული პიროვნება, გამორიცხული იყო, სამსახურში დაეგვიანებინა ან ადრე წასულიყო სახლში...

გიას მამა, ბატონი შოთა პლატონიშვილი, ონელი კაცი, „გეპეის“ კურსდამთავრებული, გზების ინჟინერი იყო. მუშაობდა ენგურჰესზე, მეჯვრისხევში, სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტ „საქგზამეცნიერებაში“ (დირექტორი თამაზ შილაკაძეძ, ერთხანს აზერბაიჯანშიც მოღვაწეობდა და ყველგან ნაღდი კაცის, შესანიშნავი პროფესიონალის სახელი დატოვა... რაც მთავარია, დატოვა თავისი ერთადერთი საფიცარი ვაჟიშვილი, ჩვენი გია, რომლის აღზრდაში, ცხადია, უდიდესია დედის, ძვირფასი



ლალა დუშუაშვილის ღვაწლი, მაგრამ მამამაც განსაკუთრებული კვალი გაავლო მის ყოველდღიურობას – კაცთმოყვარეობას, გულითადობას, შრომის სიყვარულს...

ბატონი შოთა 72 წლისა გარდაიცვალა, იგი ახლა 80 წლისა იქნებოდა...

ღმერთმა ნათელში ამყოფოს!..

ვილენ მარდალეიშვილი


## განცხადება

### ს/ს „ყაზბეგის“ აქციონერთა საერთო კრების მოწვევის შესახებ

**ს/ს „ყაზბეგის“ დირექცია იწვევს ს/ს-ის აქციონერებს საზოგადოების მორიგ საერთო კრებაზე დასასწრებად, რომელიც გაიმართება 2010 წლის 11 იანვარს, 12 საათზე, ქ. რუსთავში, მშვიდობის ქ. №6-ში მდებარე სააქციო საზოგადოების სააქტო დარბაზში.**

**დღის წესრიგი:**

1. 2008 წლის წლიური ანგარიში

აქ წლიური ანგარიშის წარმოდგენა გენ. დირექტორისა და სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიშებთან ერთად;

ბქ მოგების განაწილების შესახებ გადაწყვეტილების მიღება.

2. გენ. დირექტორის ანგარიშის დამტკიცება;

3. სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიშის დამტკიცება;

4. სამეთვალყურეო საბჭოს არჩევნები;

5. ს/ს „ყაზბეგის“ იჯარით გადაცემა.

საერთო კრების სააღრიცხვო დღედ დანიშნულია 2009 წლის 15 დეკემბერი.

დღის წესრიგის საკითხების თაობაზე დაწვრილებითი ინფორმაციის მიღება აქციონერებს შეუძლიათ ს/ს-ის დირექციაში.

**ქ. რუსთავის ს/ს „ყაზბეგის“**
**გენ. დირექტორი ვლ. გაწერელია**


### ულოცავენ

## ქალბატონ ლუბა ბიბილეიშვილს

ვულოცავთ დაბადების დღეს, ვუსურვებთ ბედნიერ და ხანგრძლივ სიცოცხლეს თავის ნათესავებთან, ახლობლებთან და მეგობრებთან ერთად.

ლედი ფირცხალავა, გულიკო სალუქვაძე, მანანა ჯალაღონია, ნოდარ ჯალაღონია

### დღის კალენდარი

**19 დეკემბერი**

**28-ე შვიდეული სულთმოფენობიდან. შაბათი.**

ხსენება წმიდა ნიკოლოზისა – მირონ-ლუკიის მთავარეპისკოპოსისა, საკვირველმოქმედისა (დაახლ. 345ძ. ნიკოლოზობა.



ამოდის 07.24
ჩადის 16.30



ამოდის 19.57
ჩადის 10.24

## დაიბადნენ:

**1887 – ჩარლზ დარვინი,** ინგლისელი ფიზიკოს-თეორეტიკოსი, ჩარლზ დარვინის შვილიშვილი. გარდაიცვალა 1962 წელს.

**1929 – სარგის ცაიშვილი,** ცნობილი ლიტერატურათმცოდნე. გარდაიცვალა 1993 წელს.

**1921 – ვიოლეტა ცისკარიძე,** ცნობილი ლიტერატურათმცოდნე.

## გარდაიცვალნენ:

**1786 – გიორგი ბატონიშვილი (ბაგრატიონიძ,** ვახტანგ VI-ის ძე, მოსკოვის ქართული სათვისტომოს მეთაური.

**1848 – ემილი ბრონტე,** ინგლისელი მწერალი, ქალი.

**1851 – უილიამ ტერნერი,** ინგლისელი მხატვარი.

**1939 – ლუარსაბ ანდრონიკაშვილი,** მეცნიერი, იურისტი და საზოგადო მოღვაწე.

**1963 – ლეო ქიაჩელი (შენგელაიაძ,** ცნობილი მწერალი.

**1965 – ემილ კიო,** ცნობილი ილუზიონისტი.

**1996 – მარჩელო მასტროიანი,** გამოჩენილი იტალიელი კინომსახიობი.

## მოვლენები:

**1562** – დაიწყო რელიგიური ომი ფრანგ კათოლიკეებსა და ჰუგენოტებს შორის.

**1965** – შარლ დე გოლმა საფრანგეთის საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურში მოუგო ფრანსუა მიტერანს.

**1972** – დედამიწაზე დაბრუნდნენ ამერიკული კოსმოსური ხომალდის „აპოლონ 17“-ის ეკიპაჟის წევრები. ასტრონავტებმა სერნანმა და შმიდტმა მთვარეზე რეკორდული დრო – 74 საათი და 59 წუთი გაატარეს. ამ გაფრენით დასრულდა ამერიკული მთვარის პროგრამა.

მედიანიუსი


## „ოჯახის მკურნალი“

ჰომეოპათიის (თ. ალაშვილი – დირექტორიძ, ქართული ტრადიციული მედიცინის (ნ. ნაჭყებიაძ, ბავშვთა მანუალური თერაპიის (თ. მიმინოშვილიძ, მასაჟის და სამკურნალო ფიზკულტურის კლინიკა

რუსთაველის 28/ალ. ჭავჭავაძის 2ა, 98-64-86, 98-99-55, (899ძ 55-99-61.

www.alashvili.com


## ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი



| | |
|---|---|
| 1 აშშ | – 1.6839 ლარი |
| 1 ევრო | – 2.4162 ლარი |
| 1 გირ. სტ. | – 2.7097 ლარი |
| 100 რუბლი | – 5.5320 ლარი |
| 1000 სომ. დრამა | – 4.4129 ლარი |
| 1 აზ. მან. | – 2.0965 ლარი |
| 10 უკრ. გრივნა | – 2.1151 ლარი |
| 1 თურქ. ლირა | – 1.1099 ლარი |
| 10 ჩინ. იუანი | – 2.4660 ლარი |



## ამინდი დღეს

| | |
|---|---|
| თბილისი. | +2 – +5 |
| ქუთაისი. | +11 – +12 |
| ბათუმი. | +12 – +13 |
| ზუგდიდი. | +10 – +11 |
| თელავი. | +1 – +4 |

### კადრი




საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA

გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 879 01-04-77

ინდექსი 66434



რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.